„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი ● №9-10 (9481-82) ● 1-31 მაისი ● ფასი 1 ლარი

ცხოვრების ახალი ეტაპი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს სკოლის დასრულება მიულოცა, წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ თაობა, რომელიც ახალი გამოცდილებებით, განვითარების ახალი პერსპექტივებითა და პასუხისმგებლობით გამორჩეულია, განსაკუთრებულ მომავალს შექმნის.

”ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, გილოცავთ თქვენი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – სკოლის დამთავრებას. ალბათ ბევრჯერ გიფიქრიათ როგორი იქნებოდა თქვენი ”ბოლო ზარი” – დღე, როცა დატოვებდით სკოლის კედლებს და შეაბიჯებდით ცხოვრების ახალ და საინტერესო ეტაპზე. თუმცა, აქამდე არნახულმა გამოწვევამ, რომლის წინაშეც ახლა მთელი კაცობრიობა დგას, სწავლის დასკვნით ეტაპზე თქვენს სკოლებს, საყვარელ მეგობრებსა და მასწავლებლებს დაგაშორათ.

მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ შეძელით გამკლავებოდით იმ გამოწვევებს, რაც თან ახლდა დისტანციურ სწავლებას და გამარჯვებულები ამთავრებთ სკოლას.

ამ პირობებში ჩვენი უმთავრესი ამოცანა იყო, უზრუნველგვეყო სასწავლო პროცესის უწყვეტობა. ალბათ დღეს, როგორც არასდროს, ცხადი გახდა ამ ამოცანის მნიშვნელობა, რადგან ამ თუ სხვა გამოწვევათა დაძლევა მხოლოდ ცოდნით, განათლებით, მეცნიერებით შეიძლება.

და უკვე ხვალიდან, როდესაც თქვენს წინაშე უამრავი ახალი პერსპექტივა იხსნება, უკეთესი მომავლის უმთავრესი შემოქმედები სწორედ თქვენ ხართ. ცოდნის გაღრმავების ჟინით, გამოწვევებისადმი მზაობით, ნოვატორული მიდგომებით უნდა ითავოთ საკუთარი, ჩვენი ქვეყნისა და კაცობრიობის ბედის წარმართვა.

ასე რომ, თქვენს ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება – ახალი გამოცდილებებით, ურთიერთობებით, მეგობრებით, განვითარების ახალი პერსპექტივებითა და პასუხისმგებლობით.

თქვენ გამორჩეული თაობა ხართ და მჯერა, ასეთივე განსაკუთრებულ მომავალს შექმნით! წარმატებებს გისურვებთ ამ საინტერესო გზაზე!”.

მუნიციპალიტეტის მერიაში

გოლასკურში, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის მიუხედავად, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტის სინამდვილეში უპრეცედენტო პროექტი - გოლასკურის უბანში, 7,5 კმ. საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, ალექსანდრე მოწერელია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე, კახაბერ კუპრეიშვილი ს.ს. ,,არქეოპოლისის" დამფუძნებელთან და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან, დემურ გადელიასთან ერთად, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბანში, გზის დასრულებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ღირებულებამ 2 364 841 ლარი შეადგინა, მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა. სამუშოები სს ,,არქეოპოლისმა" შეასრულა. გზის პრობლემა სოფელს წლების განმავლობაში აწუხებდა.

მუნიციპალიტეტის
მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

საქველმოქმედო აქცია

კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში მორიგი სოციალური აქტივობა განხორციელდა. თანადგომის აქციაში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ამჯერად, ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი გიორგი აფაქიძე ჩაერთო. სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქალაქად და სოფლად მცხოვრებ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე 50 ბენეფიციარს სასურსათო ნობათები სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, სენაკელმა ბიზნესმენმა გიორგი აფაქიძემ გადასცეს. აღნიშნულ აქციას წინ უსწრებდა შემდეგი საქველმოქმედო ღონისძიებები: სოციალური აქტივობების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, ქალაქად და სოფლად მცხოვრებ ბენეფიციარებს - მრავალშვილიან ოჯახებს, ხანდაზმულ მარტოხელებს, შშმ პირებს და განსაკუთრებული საჭიროების მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახებს, სასურსათო პაკეტები შეუძინა და გადასცა. ასევე, მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის 200 ბენეფიციარს კვების პროდუქტები გატანით მიეწოდება. თანადგომის აქციებში კერძო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებიც ჩაერთნენ. სოციალური აქტივობა თანმიმდევრულად გაგრძელდება.

ონლაინ შეხვედრა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, ალექსანდრე მოწერელია, დისტანციურ სამუშაო შეხვედრებს ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებს. სახელმწიფო რწმუნებულმა, ონლაინ შეხვედრა, ამჯერად, რეგიონში კენკროვანი კულტურის მწარმოებლებთან და მეცხოველეობის სექტორში მომუშავე ფერმერებთან გამართა. შეხვედრაში მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კახაბერ კუპრეიშვილმა, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს სენაკის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა, გიორგი ხარგელიამ, კენკროვანი კულტურისა და მეცხოველეობის სექტორში მომუშავე ადგილობრივმა ფერმერებმა მიიღეს. ალექსანდრე მოწერელიამ მათგან მოისმინა ინფორმაცია ყველა იმ საჭიროების შესახებ, რაც ფერმერებს პანდემიასთან ბრძოლის პირობებში შეექმნათ და მათ მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა.

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის თერმოსკრინინგი დაიწყო

სენაკის მუნიციპალიტეტში, COVID 19-ის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის მასობრივი თერმოსკრინინგი დაიწყო. პროცესის მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე, კახაბერ კუპრეიშვილი, მერის წამომადგენელი ქალაქ სენაკში, გოჩა ჭანტურია და მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ანა ჭიჭალუა გაეცნენ. მასობრივ თერმოსკრინინგში, რომელსაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს, ჩართულები არიან მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება, სოფლების საექიმო ამბულატორიები და ჯანდაცვის ცენტრის ჯგუფები. მოქალაქეთა თერმოსკრინინგს 20 ჯგუფი უზრუნველყოფს, 6 - ქალაქად და 14 - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში. თერმოსკრინინგი, რომელიც სენაკში დაიწყო, გაგრძელდება და ეტაპობრივად, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს მოიცავს.

აგრარულ ბაზარში სამუშაოები მიმდინარეობს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე მალხაზ თორია, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი სენაკის აგრარულ ბაზარში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ. იმისათვის, რომ სენაკის აგრარულმა ბაზარმა მუშაობა სრული დატვირთვით განაახლოს, ყველა სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს. ამ ეტაპზე, აგრარულ ბაზარში, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამუშაოები მიმდინარეობს.

75 წელი - მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე.... 75 წელი - მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან... სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ ბაღათურიამ და მერის მოადგილემ, კახაბერ კუპრეიშვილმა მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპული ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი ყვავილებით შეამკეს და ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს. გამარჯვებისა და გმირების წინაშე ქედის მოხრის დღეს, სენაკში, მხოლოდ ერთი უხუცესი ვეტერანი - 97 წლის აგრაფინა ხუხია შეხვდა. ...მესამე კურსის სტუდენტი იყო, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო. ომში მისი უფროსი ძმა - ჟორჟი გაიწვიეს. სამკუთხა წერილები ფრონტის ხაზიდან - ეს იყო შვების მომგვრელი და ერთადერთი სახსოვარი ძმისგან. როგორც კი ქერჩიდან წერილების მიღება შეწყდა, აგრაფინამ გადაწყვიტა, სწავლისთვის თავი დაენებებინა და ქვეყნის სამსახურში ჩაბმულიყო. სამხედრო ჰოსპიტალში დაჭრილი მებრძოლების სიცოცხლის გადარჩენისთვის იბრძოდა. სწორედ ომის ქარცეცხლიან დღეებში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, ექიმი შალვა ხუხია. სამამულო ომის დასრულების შემდეგ, დაქორწინდა. რამდენიმე ათეული წელი სენაკის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში იმუშავა. ,,მეგობრები და ჩემი ასაკისანი შემომეცალნენ" - დანანებით ამბობს თითქმის საუკუნეს მიღწეული, უხუცესი ვეტერანი, რომელსაც დღეს, მისი ცხოვრების ყველაზე ღირსახსოვარი თარიღი სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ ბაღათურიამ და მერის მოადგილემ, კახაბერ კუპრეიშვილმა მიულოცეს. ჩვენს სახელოვან ვეტერანს, აგრაფინა ხუხიას, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისგან ფულადი დახმარებები და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის საჩუქრები გადაეცა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

საამაყოა ასეთი სიცოცხლისუნარიანობა

1923 წლის 1 მაისი - ჩვენი ქალაქის თითქმის საუკუნოვანი მემატიანის - მშობლიური გაზეთ ,,კოლხეთის" დაარსების დღე,... მას შემდეგ 97- მა წელმა განვლო...

97 წელია ,,კოლხეთი" ისტორიითა და კულტურული ტრადიციებით მდიდარი კუთხის მაჯისცემას ასახავს და დღემდე ერთგულად ასრულებს ჩვენი მუნიციპალიტეტის მემატიანის ფუნქციას.

ვულოცავ ყველა თაობის ,,კოლხეთელს", ვულოცავ სენაკს ამ მნიშვნელოვან თარიღს. ჩვენთვის საამაყოა ბეჭდური ორგანოს ასეთი სიცოცხლისუნარიანობა, რაც იშვიათი და დასაფასებელია.

,,კოლხეთელებს" ვუსურვებ გაზეთის ტრადიციების ახალგაზრდული შემართებით გაგრძელებას, წინსვლას და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

,,კოლხეთი" 97 წლისაა

1923 წლის 1 მაისს გამოვიდა გაზეთ ,,კოლხეთის" პირველი ნომერი. მას აქეთ დღემდე 97 წელი გავიდა... ამ წლების მანძილზე ,,გაზეთი" იტევს და ინახავს უამრავ მსალას, ინფორმაციას, ფაქტს, მოვლენას, ფოტომასალას, ცნობილი ადამიანების ვინაობას და ღვაწლს... ერთი სიტყვით ის არის წარსულის მემატიანე და სიახლეების მაცნე.

გაზეთთან აქტიურად თანამშრომლობენ სენაკიდან წასული და საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანაქალაქელები. ინგლისში მოღვაწე ქალბატონ ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანს და მის ქალიშვილს ანნა გოგრიჭიანს კარგად იცნობს სრულიად საქართველო.

ჩვენთვის დიდი პატივია ევროპაში აღიარებული ქალბატონის ლიანას ყოველი სიტყვა, რჩევა, მოსაზრება, კეთილი სურვილი.

ამ ძნელბედობის ჟამს, ლია და ანნა გოგრიჭიანები სრულიად საქართველოს და მსოფლიოს მშვიდობიან თანაარსებობაზე ლოცულობენ.

ქალბატონმა ლიანამ სითბოთი და სიყვარულით აღსავსე წერილი გამოუგზავნა გაზეთის რედაქციას.

მადლობას ვუხდით მას, ვუსურვებთ ღვთის წყალობას, საფიცარი შვილის და ახლობელი ადამიანების კარგად ყოფნას, უსაფრთხო მსოფლიოში ცხოვრებას და წარმატებულ საქმიანობას.

ლონდონური დილის აურზაურით დაიწყო ჩვეულებრივ, ყოველდღიური დღე. საათის ისრების მოძრაობაზე დამოკიდებული ,,ამას თუ მოვასწრებ?" და უცებ ყოველივე, მომთხოვნმა და მიუკერძოებულმა მბრძანებელმა, მობილურის ზარმა შეაჩერა... მობილურით მიღებული ინფორმაცია გადავხარშე, მეორე მხრიდან მიღებულ თხოვნას გულისყურით მოვუსმინე, 3 საათისთვის პრობლემის მოგვარებას შევპირდი და მობილურის თავსარქველი დავხურე... არა! რაღაც ნაცნობმა და გამორჩეულად საყვარელმა გაიელვა ეკრანზე... გავხსენი და ჭეშმარიტად, მაია გერგაიას სახელია ეკრანზე. რას ნიშნავს ეს ჩემთვის?! ჩემთვის ეს უბრალოდ ადამიანური- მეგობრული კეთილგანწყობა როდია, ეს აქტია კაცმოყვარეობის ფენომენალური მაგალითისა. ქალბატონი მაია მშობლიური სურნელით, ეკის მთის კალთობზე დაკრეფილ იითა და ყოჩივარდებით აღსავსე კალათით მსტუმრობს ლონდონში. მისთვის უფალს მიუცია ეს საოცარი ძალა, რომელსაც ჩემთან თანაფარდობაში ხარჯავს. ეს არ არის დავალება, ეს მისი კეთილი ნებელობაა, მისი პატრიოტული მოვალეობა და მოვალეობა, რომელსაც არავის დავალებით, არამედ სულის მოთხოვნითა და სიყვარულით ახორციელებს, წლების მანძილზე.

რას ნიშნავს ლონდონში მიღებული თქვენი გაზეთი ჩემთვის?! თქვენი გზავნილი, გაზეთი, ეს მხოლოდ პრესა არ არის, არც სხვათა თავგადასავლები, არც მხარის სინამდვილე და არც ისტორიულ ამბავთა ქრონოლოგია. "კოლხეთი" ჩემი კოლხურ-მარგალური გენეტიკური კოდის აღორძინება, აფოფრება, გამოღვიძებაა. ის, თვალისდახამხამებაში მოისვრის ლონდონს თავის ბუმბერაზი შესაძლებლობებითა თუ მრავალ მილიონიანი აურზაურით გვერდზე, როგორც არაფრისმთქმელს თუ უჩინოს. და განირთხმევა, ჩემი "კოლხეთი" ტახტზე, კაცობრიობის უხილავ ტახტზე და კოლხური სიბრძნით დამძიმებული, აუჩქარებლივ აწონ-დაწონის, გამოცდილ მზერას შეავლებს შემოგარენს, შემდეგ კი მე შემომცინებს და დამიდგენს დროს. დროს, როდესაც მხოლოდ მას ვეკუთვნი და მაგით ვსუნთქავ. აი, ამ წუთებშიც მელოდება, ერთი თვალის გადავლებით ექიმ ირაკლი ცხვიტავაზე სიუჟეტში ჩამახედა, თვალს ცრემლი მადინა და მობრძანდით: ,,დროს ნუ კარგავ, შენ შენი ვალი მოიხადეო. დამაწყებინა წერა. ვწერ, მაგრამ არ ვიცი რითი დამთავრდება ეს წერილი და ამიტომაც მიმეჩქარება თქვენთვის მადლობის სათქმელად. რა ძალა აქვს მშობლიურ- კოლხურ-მარგალურს ასეთი, რომ ამ გაუსაძლის მანძილზე სენაკიდან ლონდონში ჩამოაქვს გენური კოდის სიძლიერე და მის სრულფასოვნად შესაგრძნობად იყენებს "კოლხეთს". ვღებულობ და თითქოს სენაკში ჩავდივარ. მას მოაქვს ჩემთვის არა მარტო ბეჭდური, ციფრობრივად აწყობილი მასალები, არამედ სულის ძახილი, სისხლის კოდი, ჩემი "მე", რომელიც სინამდვილეში "ჩვენი მეა" და ერთსულოვნების ტოლფასია.

ვხსნი, ინტერნეტით, საზოგადოებას სოციალურ ქსელში დადებულ გაზეთს და სამხრეთ ლონდონის ერთ-ერთ ოჯახში "სენაკის სული წმინდა" მსტუმრობს. ვცდილობ უცებ არ ჩავამთავრო მისი კითხვა, ვცდილობ ნაწილ-ნაწილ ვითარცა სალბუნი ვიგრძნო და განვიპნე მასში. 66 წლისა ვარ და 44 დიდი, უკიდეგანო- უსასრულო წლები მაშორებს შენს მიწას, ხალხს, სურნელს. რაც შენ დაგშორდი, თითქმის ნახევარი საუკუნე გაილია, მაგრამ შენეული სურნელი გიზგიზებს ჩემში უცვლელად. შენთან, მხოლოდ შენთან ვდუღაბდებოდი, ვიზრდებოდი, ვყალიბდებოდი, ვიძენდი ჩემთვის, მხოლოდ ჩემთვის დამახასიათებელ ჩვევებს, თვისებებს, კანონმმორჩილებისა თუ ერში ურიგობის არდამთმენის პრინციპებს, ქველმოქმედებისა თუ ჭირთადგომის აუცილებლობას, მაგრამ აღმავალი თუ თავჩაქინდრული, პატივცემული თუ მივიწყებული, გამორჩეული თუ უჩინარი, ერის საქმეთა მოთავე თუ უწყინრად გასუსული, ძლიერი თუ დაცლილ-დაქანცული, ყოველივე იყავ შენ, ჩემო ძირფესვო, ჩემო სულის გადიავ და მეობის მრანდავ-გამომწვრთნელო.

ამას ვამბობ და უფალი მისმენს, ვინაიდან არაფერი ხდება სამყაროში მისი ნებელობის გარეშე. მისმენს უფალი და მინდა აღსარებად გითხრათ, რამდენად ძვირფასი, განუმეორებლად კეთილი, სულმნათად კაცმოყვარე თესლი შეარჩიეთ ჩემი მეობის წარმოსადგენად. რაც დრო გადის, ცხოვრებისეული პრაქტიკითა და გამოცდილებით ვძიმდები, მით უფრო ვგრძნობ შენსკენ ლტოლვის სურვილს. უწინ თუ ყურადღებით გისმენდი, მოგაყურადებდი, მას წლების მანძილზე ჩაენაცვლა გულისყურით სმენა. დღეს კი მის უფრო მაღალ ფაზაზე ვარ, გისმენ რა სულისგულით, და შეგიგრძნობ უფლისმიერი საცეცებით, ყველაზე სანუკვარით და მინდა ამ დიდი, ნათელი და ზესულიერი სიმაღლით გითხრა: მიყვარხარ და ვამაყობ შენით ჩემო სენაკო, ჩემო სენაკელებო, ჩემო "კოლხეთის" ქედუხრელო რედაქციავ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო მაია, რომელსაც ვაჟას ქორფა ბალახივით სურნელოვანი, მშობლიურად თბილი, მრავალფეროვნად ქარგული გაზეთის შეკვრა მოაქვს ჩემთან. მას ჯადოსნური ძალით შეუძლია ჩემს ყოველდღიურობას სენაკის, განუმეორებლად საოცარი სურნელი გამოაყოლოს. მადლობა, უფლისმიერი სიტყვაა და მიუხედავად მისი ხშირად სარგებლობისა მსურს მისი პირვანდელი სახით, უფლისმიერი აზრით, "მადლიერების ძალით" დაგლოცოთ. უფლისმიერი მადლი არ მოგშლოდეთ.

ქალაქ სენაკის საპატიო მოქალაქე, ევროკავშირისა და საქართველოს "საერთაშორისო, საქველმოქმედო საქმეთა განსაკუთრებული ღვაწლის დამსახურებული კავალერი", ბრიტანეთის სახელმწიფოს 19 ჯილდოს "თქვენ ცვლით სხვათა ცხოვრებას"ა და "თავდადებული შრომისა და განსაკუთრებული ღვაწლის" ორდენოსანი, მაგრამ თქვენზე მლოცველი და თქვენი ერთგული, თქვენი და მხოლოდ თქვენი, ლია ჯიქია-გოგრიჭიანი.

რა გითხრათ, რით გაგახართ?

გაზეთი ,,კოლხეთი" 1 მაისს 97 წლის გახდა. ამ ხნის მანძილზე მას მეხსიერების სკივრიდან ამოსამზევებელი, თქვენთვის გასაზიარებელი ბევრი დაუგროვდა, მაგრამ კოვიდ 19-მა ყველა სათქმელი გვერდზე გასწია და იგი ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი-მთელი მსოფლიოს № 1 გამოწვევად იქცა. პანდემიამ ახალი რაკურსით წარმოაჩინა: ქვეყნები, ზესახელმწიფოები, მათი მზაობა, მათ შორის ჩვენი პატარა საქართველოსი. ადამიანები-სხვადასხვა იერარქიისა თუ პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად.

მან შეცვალა სახელმწიფოთა დღის წესრიგი, მუშაობის ფორმა, მთავარი სლოგანი გახდა ,,დარჩი სახლში". საფრთხე უჩინარი ვირუსი გახდა, რომელიც არ არჩევს დიდს, პატარას, ღარიბს, შეძლებულს, ჩინიანს, უჩინოს... დაავადების სამკურნალოდ კი შესატყვისი ვაქცინა ჯერ არ შექმნილა.

ამიტომ კაცობრიობა პირისპირ დადგა დილემის წინაშე.

ჩემო მკითხველო, ასეთ პირობებში რა გითხრათ, რით გაგახაროთ? რა დროს ფოლიანტებია, წარსულის გახსენება და საარქივო მასალების მოშველიება. მაგრამ ერთი მაინც უნდა დავაზუსტო. გვინდა მუნიციპალიტეტისა და დასაკრებულოს, პირადად მერის ლევან კუპრეიშვილის, გაზეთის ხელმომწერების, ყველა კეთილისმსურველების, მკითხველების მიმართ მადლიერება გამოვხატოთ, რადგან ისინი არასოდეს არ ტოვებენ თითქმის საუკუნოვან გაზეთს ყურადღების მიღმა, პატივს სცემენ მის ტრადიციებს, იციან ,,კოლხეთის" დანიშნულება.

თქვენს ყურადღებას ასეთ რთულ ვითარებაში განსაკუთრებულად ვაფასებთ ბატონებო.

ახლა უპირველესად ფაქტების კონსტანტაციით გვინდა მოგითხროთ: თუ რა მდგომარეობაა საერთაშორისო მასშტაბით, ჩვენთან რა ღონისძიებები გატარდა, რა იყო სხვა მნიშვნელოვანი ნიუანსები, მაისის ბოლოსთვის არსებული ინტერნეტ ინფორმაციით მსოფლიოში: დაავადებული: 50211172, გამოჯანმრთელებული: 2058124, გარდაცვლილი: 338183, საქართველოში: დაავადებული: 731, გამოჯანმრთელებული: 526, გარდაცვლილი 12.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები გამოდგა წინგადადგმული ნაბიჯი, რასაც სხვა სახელმწიფოები და უცხოეთის მედია ერთხმად აღნიშნავს. ამაში დიდია ჩვენი მედიკოსების წვლილი. საზოგადოების თვითშეგნებაც ხაზგასამელია, მაგრამ? მოგეხსენებათ ვირუსი არ გამქრალა, იგი დამოკლეს მახვილივით სადღაც არის და ,,ინიღბება", ამიტომ სიფრთხილე გვმართებს. საგანგებო მდგომარეობის მოხსნის მიუხედავად უნდა შევეგუოთ იმ შეზღუდვებს, რაც დაწესებულია, უნდა ვისწავლოთ პანდემიის პირობებში ცხოვრება, ამით საკუთართან ერთად სხვის სიცოცხლესაც გავუფრთხილდებით.

საკუთრივ ჩვენს მუნიციპალიტეტში დღიდან პრეზიდენტის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მუშაობა ახალ დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. შეიქმნა საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი მერის ლევან კუპრეიშვილის ხელმძღვანელობით. ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ მერიის სამსახურების ხელმძღვანელები, წარმომადგენლები ადმინისტრაციული ერთეულების, მუნიციპალური აიპებისა და შპს –ების დირექტორები. საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ დასახული გეგმის შესატყვისად განხორციელდა მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებები, რომელზედაც გაზეთის წინა ნომრებში გაწვდიდით ინფორმაციებს. შეიქმნა მოხალისეთა ჯგუფი, რომელიც მერიისა და მერიის დაქვემდებარებში მყოფი აიპების წარმომადგენლებისაგან დაკომპლეტდა, ისინი ეხმარებოდნენ რისკ ჯგუფში მყოფ ბე-

(გაგრძელება მე-3 გვ.)

დემურ გადელია-ღირსეული პიროვნება და ჭეშმარიტი მამულიშვილი



ბატონო დემურ,

80 წელი შეგსრულებიათ-წუთისოფელი მართლაც წუთის სავალი ყოფილა... მთავარია კაცმა ისე იცხოვროს რომ ეს წუთი საუკუნეს გაუტოლდეს...

თქვენ ეს შეძელით!

თქვენი ცხოვრება მაგალითია მაღალი ზნეობის, კაცურკაცობის, ერთგულების, საქმისადმი თავდადების, მოყვასისადმი სიყვარულისა და თანადგომის.

თქვენ როგორც წარმოების ნიჭიერმა ორგანიზატორმა და აღიარებულმა ქველმოქმედმა, დეპუტატმა, მეცნიერმა, მრავალი ორიგინალური წიგნისა და მონოგრაფიის ავტორმა, ორგზის ღირსებისა და წმინდა ნიკოლოზის ორდენების კავალერმა, საქართველოს მრავალგზის საპატიო და დამსახურებულმა მეგზევემ, სენაკისა და ზუგდიდის საპატიო მოქალაქემ, საზოგადოება „სენაკელი"ს წევრმა და სხვა მრავალი რეგალიების მფლობელმა საზოგადების მხრიდან პატივისცემა და აღიარება დამსახურებულად მოიპოვეთ.

80 წელი! წლები შრომისა, სწავლისა, ძიებისა და შენებისა, დრო რომლის ნახევარი თითქმის ერთად გაგვიტარებია ისევ შრომაში, შენებაში, ჭირსა და ლხინში.

დაუოკებელი მიზანსწრაფვის, სიმტკიცისა და შრომისმოყვარეობის ჭეშმარიტი მაგალითია 40 წლის წინათ მდინარე ტეხურის პირას, ცარიელ მინდორზე თქვენი რუდუნებით დაფუძნებული საწარმო, რომელიც დღეს ისტორიული „არქეოპოლისი"ს სახელს ატარებს.

გვეამაყება, რომ ჩვენც ამ დიდებული საწარმოს კოლექტივს წარმოვადგენთ და თქვენთან ერთად ვიღვწვით მისი აღმშენებლობისათვის.

რამდენი რამ გადავიტანეთ, იყო სიძნელისა და განუკითხაობის წლები.

რამდენჯერ მოინდომეს მტრულად განწყობილმა ძალებმა საწარმოს ძარცვა და განადგურება, მაგრამ თქვენი ვაჟკაცური გამბედაობით და რამდენიმე ტყვიით მიყენებული უმძიმესი ჭრილობის ფასად გადარჩა „არქეოპოლისი". უფრო მეტიც თქვენი გონიერებითა და მიზანსწრაფულობით იგი ერთ ერთი წარმატებული კორპორაციაა ჩვენს ქვეყანაში, სადაც დასაქმებულია და მატერიალურად უზრუნველყოფილია ასობით ადამიანი.

თქვენთვის და თითოეული ჩვენთაგანისათვის განსაკუთრებით გამორჩეულია 1995 წელი, როცა მადლიერმა მოსახლეობამ ერთსულოვნად აგირჩიათ რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად, იქაც ღირსეულად იღვაწეთ, ამიტომაც გამოგიცხადეს ნდობა მეორედაც.

ჩვენ ყოველთვის გვხიბლავდა და გვეამაყებოდა თქვენი მოღვაწეობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში... მეტად შთამბეჭდავი იყო სხვადასხვა სამთავრობო უწყებებსა და ტელევიზიაში თქვენეული პირდაპირობითა და პრინციპულობით დასმული საკითხები და მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის თავდადებული მოღვაწეობა.

„კარგი ქენი, ქვას დადევი, გაიარე-წინ დაგხვდებაო"-გვმოძღვრავს ერთი ქართული ანდაზა. ეს ანდაზა თქვენი ცხოვრების დევიზია. ქველმოქმედება კი შინაგანი მოთხოვნილება. თქვენ ხომ სიკეთესთან ერთად უფალმა დაგანათლათ განსაცდელში მყოფი ადამიანებისადმი დახმარებისა და თანადგომის საოცარი უნარი.

სოციალურად დაუცველი ადამიანები, ინვალიდები, პენსიონრები, ავადმყოფები, პედაგოგები, ლტოლვილები, მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, ნჭიერი შემოქმედი ახალგაზრდები, სპორტსმენები, სტუდენტები, გარდაცვლილთა უმწეო ოჯახები, სტიქიით დაზარალებულები, ეკლესია მონასტრების მშენებლობა და რეკონსტრუქცია იყო და არის თქვენი უმთავრესი საზრუნავი.

მისასალმებელია, რომ თქვენი მონდომებითა და ძალისხმევით საწარმოში გატარდა ძალზე მნიშვნელოვანი ეფექტური და მეცნიერულად რეკომენდირებული ღონისძიებები კორონავირუსის პანდემიის პირობებში თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხო მუშაობისათვის.

სპეციალურ ფონდში ჩაირიცხა 50 000 ლარი, საწარმოს მუშა მოსამსახურეებსა და სხვა შეჭირვებულ მოსახლეობას გაეწია დახმარება 20 ტონა პურის ფქვილით.

საწარმოში დასაქმებულთ დაუწესდათ ერთჯერადი უფასო კვება.

ბატონო დემურ!

თქვენი საქვეყნო საქმისათვის ხართ გაჩენილი არსთაგამრიგემ ერისკაცობა დაგანათლათ. ამიტომაც ათენ-აღამებთ მუდმივად შრომასა და ძიებაში. ამიტომაც ყოველთვის პოულობთ გამოსავალს და აღწევთ სასურველ შედეგს. ამაზე მეტყველებს „არქეოპოლისი"ს მიერ ახალი ტექნოლოგიით აშენებული თუ მშენებარე საგზაო ობიექტები, კეთილმოწყობილი გზები და ხიდები.

ჭეშმარიტებაა, რომ ასეთი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა თქვენს უსაზღვროდ კეთილ და ადამიანურ თვისებებთან შერწყმული მაღალი მომთხოვნელობისა და სიმკაცრის გარეშე, რაც ყოველთვის სამართლიანობის პრინციპზეა დაფუძნებული.

საქმე რასაც თქვენ უძღვებით საშვილიშვილოა, ვინაიდან ეს ყველას სჭირდება, რადგან ამ გზით მომავლის საქართველოსკენ, მისი გამთლიანებისა და გაძლერებისაკენ მივაბიჯებთ.

მხნედ და მედგრად გვეყოლეთ, თქვენ ქვეყანას სჭირდებით.

უღრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით გილოცავთ თქვენი ცხოვრების ღირსეულად და კაცურად განვლილი 80 წლის იუბილეს და გისურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს.

თქვენი 100 წლის იუბილეც ერთად გვეზეიმოს.

სს „არქეოპოლისი"ს თანამშრომლები.

გილოცავთ!

არ არსებობს ამქვეყნად იმაზე ძვირფასი თვისება, ვიდრე არის გაგება, თანაგრძნობა. მზადყოფნა სხვისი ბედის თუ უბედობის, სიხარულისა თუ მწუხარების გაზიარებლად...

ბატონ დემურ გადელიას უმთავრესი მახასიათებელი გახლავთ თანამონაწილეობა სხვა ადამიანების ლხინში თუ ჭირში, შრომაში, სწავლაში, მიღწევაში, წინსვლაში...

კარგი ტონი და მანერა მეგობრულ, მეზობლურ ურთიერთობებში, ორგანიზატორული ნიჭი, კომპეტენტურობა და მომთხოვნელობა სამსახურებრივ სფეროში, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და მშობლიური კუთხის მოსახლეობისათვის წარმატებით გადაჭრილი პრობლემა საქართველოს პარლამენტის ორგზის დეპუტატობის დროს, ღია და კვალიფიციური ურთიერთობა რეგიონალურ და რესპუბლიკურ მედიასაშუალებებთან, ნებისყოფის აღზრდა, ტრადიციებისადმი მიპატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება ახლობელი და შორეული ნათესავების ოჯახების ახალგაზრდა თაობებში, ნიჭიერი ახალგაზრდების მატერიალური წახალისება, შეჭირვებულთა „შეწევნა", ქართული სალოცავების შენება-განახლება... ეს სულ მცირე პარამეტრებია მისი პიროვნების გამორჩეულობის და წარმატებულობის მისათითებლად...

ბატონო დემურ!

გვინდა პატივისცემით და მოკრძალებით მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი, გისურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას, თქვენი შთამომავლების ნიჭისა და შესაძლებლობების ფართოდ წარმოჩენას საქვეყნო ასპარეზზე, ოჯახის თავკაცად დიდხანს ყოფნას.

კვლავაც მტკიცე და ახალგაზრდული ნაბიჯებით გევლოთ მომავლის შენების გზაზე ცხოვრებისეული გამოცდილებით დატვირთულს, წლები ხომ სიმდიდრეა, მითუმეტეს ადამიანთა კეთილდღეობის ზრუნვაში განვლილი წლები...

მედეა ბაღათურია,
მაია გერგაია,
გაზეთ „კოლხეთის" ჟურნალისტები

რა გითხრათ, რით გაგახარეთ?

ნეფიციარებს, ახორციელებდნენ სხვადასხვა აქტივობებს. პარალელურად საკუთარი ინიციატივით შექმნილი მოხალისეთა ჯგუფებიც იყვნენ, რომლებიც ამანათებით სტუმრობდნენ მზრუნველობა მოკლებულ და შშმ პირებს.

შემდეგ ეტაპზე, როცა მსუბუქი ავტომობილების გადაადგილება იზღუდებოდა, მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით-ქალაქად და სოფლად ყველა რგოლი მუშაობდა. ისე, რომ მოსახლეობას ყოფითი პრობლემები მოგვარებოდა. ცხელების ცენტრი სადღეღამისო რეჟიმზე იყო გადასული და ა.შ. პრევენციული ღონისძიებების შედეგად ჩვენს მუნიციპალიტეტში საშიშროება თავიდან იქნა აცილებული.

ახლა რა გითხრათ სათქმელიდან რით გაგახაროთზე გადავიდეთ: წლების მანძილზე რიგითი ადამიანები საზოგადო და საკუთარმა პრობლემებმა ერთმანეთს გაგვაუცხოვა, გაგვაცივა, საკუთარმა საფიქრალმა სახეებიდან ღიმილიც გაგვიქრო. დაავადებები მოგვიმრავლდა, დაუოჯახელთა არმია გაჩნდა, რის გამოც დემოგრაფიული მდგომარეობა დაგვიმძიმდა, თითქმის დაცარიელდა სოფლები, ახალგაზრდები საშოვარზე საზღვარს იქით დაიქსაქსა, უამრავი ნასახლარი გაჩნდა, მიწას, წინაპართა კერიას შეელიენ თანამედროვენი, დარდი, ნაღველი, ბოღმა დაგვეტყო, პრობლემებმა ზოგი საზღვარს იქით გაგვიშვა, ზოგი შინ გვაჯახირა, გაგვათითოვა... პანდემიამ კი მყისიერად გამოგვაფხიზლა, სახიდან გულგრილობის ნიღაბი მოგვხადა, სამაგიეროდ ვირუსის საწინააღმდეგო ხელოვნური ნიღბით აღგვჭურვა. გვაგრძნობინა, რომ ბუნება მბრძანებელია, რომ ადამიანად ყოფნა დაბერებაში, სმა-ჭამაში, დიპლომ-სერთიფიკატების მოპოვებაში, საზღვარს მიღმა და მოღმა მყოფობაში, ხელის ჭუჭყის დაგროვებაში... როდი გამოიხატება, რომ მამა-პაპის დანატოვარი მარტო უძრავი ქონება როდია. გვაგრძნობინა, რომ ადამიანის გული მარტო ბიოლოგიური ორგანო არ არის, რომ დედ-მამის ნაანდერძევი მიწის ნაგლეჯი კი არა მშობლების ნაოფლარი და ნაჯაფარი ადგილია, სადაც მათი სული სული ტრიალებს, მათი აჩრდილი დადის, სადაც ჩვენი ბავშვობა დაჩინდრიკობს, ჩვენი ჯადოა, თილისმაა. საშიშროებამ წამში საწყის წერტილში დაგვაბრუნა, ერთმანეთზე მზრუნველი, ერთმანეთზე გულშემატკივარი გაგვხადა, საკუთარი ნაჭუჭიდან გამოგვლალა და... თურმე გულიც გვქონია გულის ადგილას და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ძარღვიც. წლებით, ცოდნით, გამოცდილებით, მიღწევებით მდიდარი როგორი პროფესიონალები გვყოლია. ამის საილუსტრაციოდ ერთი თენგიზ ცერცვაძეც საკმარისია. ჩვენი სიყვარული და პატივისცემა პროფესიონალთა არმიას. განსაკუთრებით ბატონ თენგიზს გამოვლენილი სამოქალაქო გმირობისათვის. თურმე სოფელიც გვჭირვებია, მიწაც და წყალიც, როგრ გვყვარებია, როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი. დამეთანხმებით აღნიშნული და სხვა ნიუანსები გასახარელზე მეტია, არ გაგეღიმოთ და დუმბაძის მარადისობის კანონი ახალი ძალმოსილებით ხელახლა აღმოვაჩინე, ამიტომ მინდა ერთხელ კიდევ შეგახსენოთ ეს სიტყვები: "მარადისობის კანონის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ... „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული. იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული. თქვენ – ჩემი, მე – სხვისი, სხვამ – სხვისი და ასე დაუსაბამოდ".

ბაჩანა სართანია

სტუდენტები და მოსწავლეები ონლაინ სწავლების შესახებ

COVID-19-ის გავრცელებასთან და მიმდინარე კორონა ვირუსის საპრევენციო ღონისძიებებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული ყველა უმაღლესი სასწავლებელი, საჯარო და კერძო სკოლები გადავიდნენ ონლაინ სწავლის რეჟიმზე. ნელ-ნელა ონლაინ განათლება ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ყალიბდება. უკვე თვეზე მეტია დისტანციური სწავლება მიმდინარეიბს. ონლაინ სწავლება ახალი გამოწვევაა როგორც სტუდენტებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის. ჩვენ ვესაუბრეთ სტუდენტებს, სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს და შევაფასებინეთ მთელი ეს პროცესი. მათ გაგვიზიარეს თავიანთი შეხედულებები ონლაინ სწავლების დადებით და უარყოფით მხარეებზე, სალექციო და საგაკვეთილო პროცესებზე, რამდენად მოსახერხებელი და საინტერესოა მათთვის ეს სიახლე, ამ ყველაფერში ხედავენ თუ არა სირთულეს და ბოლოს რას შეცვლიდნენ ისინი.

ივიკო თხელია, ,,ილიაუნის-"პოლიტიკის მეცნიერებების ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი- ონლაინ სწავლება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აპრობირებული მეთოდია. მისი დადებითი მხარე პირველ რიგში ის არის, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ შეუფერხებლად მიიღონ განათლება, არ დაკარგონ დრო და ასევე გამოიყენონ ვირუსთან ბრძოლის მთავარი იარაღი, რასაც სოციალური დისტანციის დაცვა ეწოდება.

მოცემულ სიტუაციაში, როდესაც ვირუსი მძვინვარებს, ონლაინ სწავლებას ჩემი აზრით უარყოფითი მხარე არ გააჩნია, რადგან ადამიანის ჯანმრთელობა უპირველესია.

სხვადასხვა უნივერსიტეტებში სხვადასხვა ტიპის ლექციები ტარდება, რადგან ამას უშუალოდ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს. ჩვენ შერეული სახის ლექციები გვიტარდება. ლექტორი იწყებს ახსნას და შემდეგ გადავდივართ კოლექტიურ მუშაობაზე.

პირადად ჩემთვის ონლაინ სწავლა მოსახერხებელია და საერთოდ არ არის რთული, უბრალოდ მე როგორც ერთ კონკრეტულ სტუდენტს ჩვეულებრივი სწავლება მირჩევნია, რადგან უნივერსიტეტის გარემო და აუდიტორიაში ყოფნა ჩემი აზრით სტუდენტისათვის დამატებით მოტივაციაა.

შეცვლით შევცვლიდი იმ პროგრამას რითაც ვსწავლობთ, გავაუმჯობესებდი ხარისხს, რადგან არის შემთხვევები, როცა სერვერი დატვირთვას ვერ უძლებს, მაგრამ საერთო ჯამში კორონავირუსის პანდემიის პირობებში და იმის გათვალისწინებით რომ განათლების სექტორს სწრაფად დაჭირდა ონლაინ რეჟიმზე გადასვლა, ყველაფერი იდეალურადაა.

სალომე გვარამია, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, II კურსი-მსოფლიოში განვითარებული მდგომარეობის გამო, მართებულად მიმაჩნია სწორედ ასეთი ტიპის სწავლება. ამ სიტუაციაში ვთვლი, რომ საუკეთესო გამოსავალი და გადაწყვეტილება იყო. უარყოფიდ მხარედ, კი შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ საზოგადოების მცირე ნაწილს არა აქვს წვდომა ინტერნეტ სივრცესთან, ან არა აქვს შესაბამისი ტექნიკა.

ჩემს შემთხვევაში ლექციები არის შერეული ტიპის. ლექციაში ჩართულია როგორც ლექტორი, ასევე სტუდენტებიც, ვისმენთ ლექციებს. „ლაივ"-ლექციებთან ერთად ლექტორი ინტერნეტით ატვირთავს სასწავლო მასალებს, სადისკუსიო ფორუმებს ხსნის, სადაც სავალდებულო საკითხავ მასალასთან დაკავშირებით სტუდენტებს აძლევს შეკითხვებს. ჩვენც აქტიურად ვერთვებით დისკუსიაში. ლექცია მიმდინარეობს საინტერესოდ და მშვიდ გარემოში.

პირადად ჩემთვის ძალიან კომფორტულია და მისაღებია ამ სიტუაციაში სწავლების ასეთი ფორმა, თუ არ ჩავთვლით მცირე ტექნიკურ ხარვეზებს.

შეცვლით არაფერს შევცვლიდი. უბრალოდ კარგი იქნებოდა თუ შესაბამისი სტრუქტურები დახმარებას გაუწევენ იმ სტუდენტებს, რომლებსაც არა აქვთ საჭირო ტექნიკური მოწყობილობები და ამიტომ ვერ ახერხებენ ონლაინ სწავლებაში ჩართვას.

ია ხაინდრავა, ტექნიკური უნივერსიტეტი, IV კურსი - კორონა ვირუსის გავრცელების საფრთხის გათვალისწინებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი უნივერსიტეტიც გადავიდა ონლაინ სწავლებაზე. ვფიქრობ ციფრული ტექნოლოგიით და ინტერნეტით სავსებით შესაძლებელია უმაღლესი განათლების მიღება. ონლაინ სწავლებას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კარგია, რომ გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და დროის არქონის გამო, შეგვიძლია მივიღოთ საჭირო ცოდნა სახლიდან გაუსვლელად. გვაქვს მოქნილი სასწავლო გრაფიკი და მშვიდი გარემო გამოცდების ჩაბარების დროს.

ცუდია, რომ დისტანციური სწავლების დროს სტუდენტი ვერ იძენს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და ნაკლები ურთიერთობა აქვთ მასწავლებლებთან და თანატოლებთან.

ჩვენ შერეული სახის ლექციები გვიტარდება, ონლაინ ლექცია არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ლექციებისგან და პრობლემის გარეშე მიმდინარეობს მასალის ახსნა, სემინარებისა და გამოკითხვების ჩატარება, ვიდეო და აუდიომასალების გამოყენება.

ჩემთვის კომფორტულია ონლაინ სწავლება, რადგან არ მეხარჯება დრო უნივერსიტეტში წასასვლელად. არ გამჭირვებია, ვინაიდან ადრე ყოველდღიურად მიწევდა საპრეზენტაციო მასალების წარდგენა ელექტრონულად, რამაც კომპიუტერთან მუშაობა შემასწავლა და უფრო გამიმარტივა. რაც მთავარია ვართ უსაფრთხოდ სახლებში და ძალიან პროდუქტიულად ვიყენებთ კარანტინის პერიოდს.

შეცვლით არაფერს შევცლიდი, სანამ მდგომარეობა არ გამოსწორდება, თუმცა მირჩევნია დავუბრუნდე სწავლების ჩვეულებრივ რიტმს.

მარიამ მხეიძე, მეორე საჯარო სკოლის 11 კლასი – ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო სახლში ვარ. დიდი ენთუზიაზმით ჩავერთე ონლაინ სწავლის პროცესში. ჩვენთვის სწავლების ასეთი ფორმა ახალია და გარკვეულად რთულიც, რომელსაც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუმცა მალევე შევეჩვიე. კარგია, როცა სახლიდან გაუსვლელად ვიღებთ ცოდნას, მაგრამ ჩემი აზრით უფრო მეტი უარყოფითი მხარე აქვს: ყველა არ შემოდის გაკვეთილზე, ისეთ ცოდნას ვერ ვიღებთ, როგორც სკოლაში, ყველას არა აქვს კარგი ინტერნეტი და მასწავლებელი ვერ არჩევს კარგად ხმებს, ვინ უპასუხა კითხვას.

გაკვეთილი გრძელდება მხოლოდ 20 წუთი, რაც ვფიქრობ არ არის საკმარისი ყველაფრისთვის. მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ ამ დროში მოგვაწოდონ ცოდნა და ჩვენც ვუსმენთ და ვცდილობთ ყველაფერი კარგად შევითვისოთ.

ჩემთვის ეს მოსახერხებელია მხოლოდ იმიტომ რომ სახლიდან ვისწავლო, რთულიც არ არის, მაგრამ სკოლა ბევრად მირჩევნია. იქ უფრო მეტს ვიგებ, ვიდრე ონლაინ. მაგრამ როცა ასეთი სიტუაციაა, სხვა გზა არ გვაქვს.

ვისურვებდი რომ უფრო მეტი დრო გვქონდეს გაკვეთილის ასახსნელად, ისე, რომ მოყოლის დროც გვქონდეს.

დიმიტრი გვასალია, მეორე საჯარო სკოლის 10ბ კლასი-ჩემი აზრით ონლაინ სწავლება არ არის ცუდი, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე მიმდინარეობს სწავლა. უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ზოგ ბავშვს არა აქვს ინტერნეტი და ვერ ახერხებს ონლაინ გაკვეთილში ჩართვას.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ჩვეულებრივ რეჟიმში, გაკვეთილების ჩატარების დროც საკმაოდ მოსახერხებელია. გვიტარდება გაკვეთილები, ვიდეო რეჟიმში, ხდება მასალების გამოკითხვა და ახსნა. ონლაინ სწავლება არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის, პირიქით, ჩემთვის საკმაოდ საინტერესო სიახლეა, რომელიც საშუალებას მაძლევს თანამდეროვე ტექნოლოგიები გამოვიყენო პროდუქტიულად, შევეჩვიო დამოუკიდებლად სწავლას და რაც მთავარია სახლიდან გაუსვლელად მივიღო სრულყოფილი განათლება.

მე არაფერს შევცვლიდი, მაგრამ მაწუხებს ის ფაქტი, რომ არსებობენ მოსწავლეები, რომელთაც არა აქვთ ინტერნეტ და ზარალდებიან, პირველ რიგში ამ პრობლემას გამოვასწორებდი

ელენე ნაკაშია –წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის VII კლასი– კორონა ვირუსის გამო ყველა გაკვეთილზე დასწრება ონლაინ რეჟიმში გვიწევს. ამას რა თქმა უნდა აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ონლაინ რეჟიმი მაძლევს საშუალებას დავგეგმო და ჩემი შესაძლებლობების შესაბამისად გავიარო სასწავლო პროგრამა. ონლაინ სწავლება მოითხოვს უფრო მეტ შრომას, მაჩვევს სწავლასა და კონცენტრირებას საკლასო ოთახის გარეთ, მეხმარება უფრო პროდუქტიულად ვიმუშავო ჩემს თავზე.

ცუდი ისაა, რომ მოსწავლეების ნაწილმა შეიძლება ამ სტილის გაკვეთილს მარტივად შეხედოს და სულაც არ დაესწროს,იქიდან გამომდინარე, რომ გაკვეთილზე არდასწრება შესაძლებელია.

საგაკვეთილო პროცესი ჩვეულ რეჟიმში მიდინარეობს. ჩვენ ვისმენთ, ვერთვებით ახსნის პროცესში, ვასრულებ დავალებებს.

სწავლების ასეთი ფორმა სრულიად მოსახერხებელი და კომფორტულია ჩემთვის და არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს.

შეცვლით არაფერს შევცვლიდი, სანამ ქვეყანაში სიტუაცია არ გამჯობესდება.

მათე ლაბარტყავა, VII საჯარო სკოლა, IX კლასი-ვირუსთან ბრძოლის პირობებში ბუნებრივია სკოლები ვერ განაგრძობდნენ ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირებას, ამიტომ როგორც ბევრმა სხვა საქმიანობამ, განათლებამაც ონლაინ რეჟიმში გადაინაცვლა. სწავლების ეს ფორმა, თავის უარყოფითი და დადებითი მხარეებით უცხო და საინტერესო გახდა ყველა ჩვენთაგანისათვის. დისტანციური სწავლების დროს უფრო მეტი დრო მაქვს იმისათვის,რომ გავიაზრო ესა თუ ის დავალება. ცუდია, რომ ყველა მოსწავლეს არა აქვს წვდომა ინტერნეტთან. ზოგჯერ ინტერნეტს აქვს ხარვეზები და ხმა არ ისმის.

გაკვეთილები ყოველდღე გვიტარდება. საკმაოდ საინტერესოა, მასწავლებლები დიდი მონდომებით გვიხსნიან ახალ მასალას, გვაძლევენ დავალებებს.

მე მაქვს კარგი ინტერნეტ-წვდომა და ამიტომ ჩემთვის მოსახერხებელია დისტანციური სწავლება და რთულად არ მეჩვენება. თუმცა პრაქტიკული ახსნის გარეშე დავალების გაანალიზება არ არის ადვილი, მაგრამ მე მგონი კარგად ვართმევ თავს.

ჩატში შეზღუდულია ბავშვების რაოდენობა. ვისურვებდი, რომ ყველას ერთდროულად შეგვეძლოს ონლაინ გაკვეთილში მონაწილეობა. სკოლაში სიარული, იქ ახსნილი გაკვეთილები, მასწავლებლებთან და მეგობრებთან ურთიერთობა გაცილებით უკეთესია.

მარიამ ფიფია, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის VIII კლასი-კორონა ვირუსის გავრცელებამ ჩვენი ცხოვრება ნაწილობრივ შეცვალა. ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო სახლში ვართ და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ დადებითი შედეგი გამოიღო. ჩემი აზრით ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, ხელი არ შეგვშლოდა სათანადო ცოდნის მიღებაში. მინუსად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ყველას არა აქვს ინტერნეტთან წვდომა.

გაკვეთილები გვიტარდება zoom-ში ან skype-ში, ხდება დასწრების აღრიცხვა, შესრულებულ დავალებებს ვუღებთ ფოტოებს და ვუგზავნით მასწავლებლებს. უცხოენების სწავლისას ვიყენებთ ვიდეოფაილებს. ცოტა რთულია ფიზიკა, რადგანაც სკოლაში ახსნილს მაინც უკეთ გებულობ, ვიდრე ინტერნეტში.

მე პირადად დისკომპორტს მიქმნის ის, რომ კომპიუტერი გამიფუჭდა და ტელეფონით მიწევს პროგრამაში შესვლა, ტელეფონის ეკრანი პატარა და ცოტა არ იყოს მიჭირს.

ჩვენთვის ეს იყო ძალიან საინტერესო სიახლე, თავიდან თითქოს გაგვიჭირდა, მაგრამ მალევე ავუღეთ ალღო.

იმედია მდგომარეობა დასტაბილურდება და ჩვენ ისევ ძველებურ რეჟიმში გავაგრძელებთ ცხოვრებას.

ნუცა მიქავა, თბილისის 77-ე საჯარო სკოლა- VI კლასი –ონლაინ სწავლების ეს მეთოდი სიახლეა, რომელსაც თანდათან ვეჩვევი. პირველ რიგში აუცილებელია გქონდეს გამართული კომპიუტერი და სწრაფი ინტერნეტი ან ინტერნეტში ჩართული ტელეფონი, რომელსაც გააჩნია ის ფუნქციები, რომელიც საჭიროა უპრობლემოდ ჩაერთო ზემოაღნიშნულ პროცესში. ჩემთვის ცოტა არ იყოს მიუღებელია ის ფაქტი, რომ არ მაქვს ურთიერთობა მეგობრებთან და მასწავლებლებთან. ზოგჯერ ,,თიმსი" გადატვირთულია და ყველა ვერ ერთვება საგაკვეთილო პროცესში. მომწონს ის, რომ სამეცადინო მასალა შემიძლია მთელი დღის მანძილზე გადავანაწილო და არ გადავიღალო.

გაკვეთილები გვიტარდება ჩვეულებრივად, მასწავლებელი ხსნის, ჩვენც ვერთვებით ახსნის პროცესში, ვიღებთ დავალებებს, ვიყენებთ მესენჯერს. შესრულებულ დავალებას ვუღებთ ფოტოებს და ვუგზავნით მასწავლებელს.

საინტერესოა და სავსებით მოსახერხებელი ასეთი სტილის სწავლება ჩემთვის, უფრო კომფორტულიც. ინტერნეტის პრობლემა არა მაქვს და ამიტომ ონლაინ გაკვეთილი ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენს.

რას შევცვლიდი? არაფერს, მგონი მაინც ჩვეულებრივი გაკვეთილი მირჩევნია ჩემს საკლასო ოთახში, ჩემს თანაკლასელებთან და ჩემს მასწავლებლებთან ერთად.

მაია გერგაია

18 მაისი-მუზეუმების საერთაშორისო დღე

პროფესიულ დღეს ვულოცავ!

საზოგადოების განვითარებაში მუზეუმების როლის გაცნობიერების მიზნით, 1977 წელს მუზეუმების საერთაშორისო საბჭომ მუზეუმების საერთაშორისო დღედ დააფუძნა 18 მაისი. წლებია აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მუზეუმები მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მხარდაჭერით სათანადოდ ვეხმიანებით პროფესიულ დღესასწაულსა და ევროსაბჭოს პატრონაჟით მიმდინარე აქციას „ღამე მუზეუმში". სამწუხაროდ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე გამონაკლისია მიმდინარე წელი.

მუზეუმში დასაქმებულები პასუხისმგებლობით ვემსახურებით დამთვალიერებელთ, რუდუნებით ვუნახავთ მომავალ თაობებს სამუზეუმო ფონდში დაცულ „საგანძურს"...

მომავალშიც შემართებითა და დიდი სიყვარულით მოვემსახურებით მუზეუმებით დაინტერესებულ პირებს.

ვულოცავ პროფესიულ დღეს მუზეუმების თანამშრომლებსა და ჩვენს გულშემატკივართა დიდ არმიას. ვუსურვებ თითოეულ მათგანს ჯანის სიმრთელეს, მხნეობასა და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და შრომით საქმიანობაში.

მარინე აბრამია

ოჯახის დედაბოძი

დიდ სამამულო ომს სამასი ათასი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა. ომის დამთავრების შემდეგ მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად ყოველ სოფელსა, რაიონულ ცენტრსა თუ ქალაქში მემორიალური სტენდები დაიდგა. ამ სტენდებზე იყო განთავსებული კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულიდან ომში დაღუპულ მეომართა სურათები. აღნიშნული ყოველი მოქალაქისთვის ითვლებოდა წმიდათაწმიდა ადგილად, იქაურობას ალამაზებდნენ, ამწვანებდნენ. გამარჯვების დღეს ზეიმს მართავდნენ, სადაც სხვებთან ერთად ომის ვეტერანები იკრიბებოდნენ და იხსენებდნენ ომის ქარცეცხლიან დღეებს, ყვებოდნენ დაღუპულთა გმირობაზე და ა.შ. რაც პატრიოტული სულისკვეთებით აღანთებდა მოსწავლეებს, სტუდენტებს.... სტენდიდან კი შინმოუსვლელნი იმზირებოდნენ, თითქოს დუმილით ამბობდნენ: „თქვენ მაპატიეთ, ჰო მაპატიეთ, დანაშაული არ დაბრუნების".

დიდი სამამულო ომის მონაწილე ვეტერანთა არმია ჰყავდა ჩვენს მუნიციპალიტეტს, მაგრამ წელთა სვლამ მსახვრალი ხელი შეახო მათ და ... ჩვენი თაყვანიუსცემა და მოწიწება მათ სულებს. ხოლო სახეზე მყოფ ქალბატონ აგრაფინა ხუხიას ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე.

ქალბატონი აგრაფინა მაღე საუკუნის გახდება.. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ასაკს თავს არ უდებს, შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს მოძღვრავს, სიკეთის კეთებისკენ უბიძგებს, ხშირად იგონებს წარსულს, ომის მძიმე დღეებს. ხაზს უსვამს გაჭირვება მაშინ იყო თუ იყოო, მაგრამ ერთმანეთის გატანა ვიცოდით, ერთმანეთის სიყვარული გვქონდა ხალხს ეროვნების მიუხედავად, ამან გადაგვარჩინაო. ოჯახმა, სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოზარდს ერთმანეთისა და სამშობლოს სიყვარულიო. ნანობს რომ მისი თანამებრძოლები თანდათან იმიერში გადასახლდნენ.

ქალბატონი აგრაფინა მსახურობდა სამხედრო ჰოსპიტალში. დაჭრილ ჯარისკაცებს თავისი გულისხმიერებით ტკივილებს უამებდა და წამლობდა. ჰოსპიტალში გაიცნო მომავალი მეუღლეც, რომელიც იქვე მუშაობდა ექიმად. ომის მძიმე ყოფას გამოვლილმა ცოლ-ქმარმა შესანიშნავი ოჯახი შექმნა. აღზარდეს ორი ვაჟიშვილი, რომელთაგანც ერთი ექიმია და მეორე იურისტი. ჰყავს სამი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი.

ჭკუის საკითხავად, ოჯახის დედაბოძად დიდხანს იცოხლეთ ქალბატონო აგრაფინა!

ნინო სართანია

რეკომენდაციების გათვალისწინებით

ქვეყნის მასშტაბით აგრარული ბაზრების დახურვა კორონა ვირუსის საპრევენციო ღონისძიებებს უკავშირდება.

4 აპრილს სამეგრელო-ზემო სვანეთში შექმნილი სპეციალური შტაბის გადაწყვეტილებით დაიკეტა სენაკის აგრარული ბაზარი.

ბაზრის დირექციამ ტერიტორიის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა გეგმა და დაიწყო სამუშაოების შესრულება.

შეიღება ბაზრის ტერიტორიაზე განთავსებული პავილიონები, მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები. შეიცვალა საკანალიზაციო მილები, გრძელდება აქ განთავსებული საპირფარეშოების სარემონტო სამუშაოები. მიმდინარეობს ახალი პავილიონების მშენებლობა, დაწყებულია ტერიტორის მოასფალტების სამუშაოები.

ბაზრის დირექტორის ქალბატონ ზაირა შენგელიას განცხადებით სამუშაოების დასრულების შემდეგ დაგეგმილია ბაზრის ამოქმედება.

მ. ეჯიბია

თითოეული ჩვენგანის უსაფრთხოებისათვის

შორენა ხარბედია – ინდმეწარმე – 11 მაისიდან განვაახლე საქმიანობა. ვიცავთ ყველა მითითებას და რეკომენდაციას. მომხმარებლისათვის მონიშნულია დისტანცია. გაკეთებულია დეზობარიერი, ხელების დამუშავება ხდება სადეზინფექციო საშუალებებით. ვახორციელებთ კომპიუტერულ მომსახურებას. ობიექტს აქვს ქუჩიდან შემოსასვლელი საკმარისი ტერიტორია. გვაქვს თერმოსკრინინგის ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად იწერება მონაცემები. მომხმარებელს ვუხსნით დახურულ სივრცეში პირბადის ტარების აუცილებლობას და ისე ვუშვებთ ჩვენთან. როგორც მოქალაქე და როგორც მეწარმე ვთვლი, რომ უსაფრთხოების დაცვით ადამიანები ვუფრთხილდებით ერთმანეთის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

დალი ტყებუჩავა, ინდმეწარმე –ორთვიანი შეზღუდვები მოიხსნა და განვაახლეთ მუშაობა. საკანცელარიო და სასკოლო ნივთები ყველაზე მოთხოვნადია და ამიტომ მომხმარებელი მრავლად გვყავს, მათ შორის მოსწავლეები ჭარბობენ. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ მოქალაქეებთან ერთად ზედმიწევნით დავიცვათ დაწესებული უსაფრთხოების წესები. პირველ რიგში მომხმარებლისგან ვითხოვთ დისტანციის დაცვას, ვთავაზობთ პირბადეს იმ შეთხვევაში, თუ მათ არა აქვთ, გვაქვს სადეზინფექციო საშუალებები, დეზობარიერი, თერმოსკრინინგის ჟურნალი. არ ვუშვებთ ერთდროულად ორზე მეტ მომხმარებელს. ყველას მოვუწოდებთ, რომ გავუფრთხილდეთ ერთმანეთის ჯანმრთელობას

ლიკა ჯერჯელავა, მცირე მეწარმე - ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო დაწესებული შეზღუდვები ნაწილობრივ მოიხსნა და 16 მაისიდან შევუდექით მუშაობას. მაღაზიას აქვს ცალკე, დამოუკიდებელი შესავლელი, სათანადოდ ვიცავთ მთავრობის მიერ დადგენილ სტანდარტებს. შემოსასვლელში არის დეზობარიერი, ხელების დასამუშავებელი სადიზინფექციო სითხე, ერთჯერადი პირბადეების და ხელთათმანების მარაგი. იგივე წესების დაცვას ვითხოვთ მომხმარებლებისგან. ეს ყველაფერი კეთდება თითოეული ჩვენთაგანის უსაფრთხოებისათვის.

მოამზადა

მ. შამათავა

ფულადი დახმარებების გაცემა იწყება

არსებული კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული ინფექციის შედეგად მიყენებული ზიანის შესამსუბუქებლად მთავრეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში დაიწყო დახმერებების გაცემა სოციალურად დაუცველთათვის და თვითდასაქმებულთათვის.

კომპენსაციის მისაღებად სოციალურად დაუცველებმა უნდა მიმართონ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის სოციალური მომსახურების სააგენტოს. დახმარებების გაეწევა ყველა იმ ადამიანს, რომელიც დარეგისტრირებული იქნება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მითითებულ ელექტრონულ პორტალზე.

ამ თემასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ სენაკის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელს ქალბატონ ირმა მურღულიას. იგი გვესაუბრა ყველა იმ დეტალზე, რაც ამ დახმარებების გაცემასთან არის დაკავშირებული.

თვით დასაქმებულად ითვლება ყველა ის ფიზიკური პირი, რომელიც ეწეოდა რაიმე ტიპის ეკონომიკურ საქმიანობას და იღებდაშემოსავალს, გარდადაქირავებითდასაქმებულისა. თვითდასაქმებულებისთვის კომპენსაციის მოცულობა განსაზღვრულია ერთჯერადად 300 ლარისოდენობით.

კომპენსაციის მისაღებად აუცილებელია დასტურდებოდეს, რომ ეს პირი 2020 წლის პირველ კვარტალში ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას ან/დაჰქონდა შემოსავალი.

თვითდასაქმებული პირები იყოფიან 2 კატეგორიად:

1. ფიზიკური პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შემოსავლების სამსახურში;

2. ფიზიკური პირები, რომლებიც ეწეოდნენ ეკონომიკურ საქმიანობას ან/და ჰქონდათ შემოსავალი, თუმცა არ არიან რეგისტრირებული შემოსავლების სამსახურში.

ამ კატეგორიის პირებისთვის არა უგვიანეს 2020 წლის 15 მაისიდან არა უგვიანეს 2020 წლის 01 ივლისამდე ჯანდაცვის სამინისტროს ელექტრონულ პორტალზე www.moh.gov.ge. გაიხსნა ელექტრონული განაცხადის ფორმა, სადაც კომპენსაციის მიღების მიზნით ფიზიკურმა პირმა უნდა შეავსოს შემდეგი ინფორმაცია:

1. სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

2. საკონტაქტო მონაცემები (ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი);

3. საბანკო რეკვიზიტები (ანგარიშისნომერი);

4. ინფორმაცია 2020 წლის პირველ კვარტალში მისი შემოსავლის წყაროს შესახებ;

5. 2020 წლის პირველ კვარტალში შემოსავლის წყაროს დამადასტურებელი დოკუმეტი, მათშორის (მე-4 და მე-5 პუნქტები ეხება მხოლოდ იმ თვითდასაქმებულებს რომლებიც არ არიან რეგისტრირებულები შემოსავლების სამსახურში).

რეგისტრაციის მსურველებს დახმარებისათვის შეუძლიათ მიმართონ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს.

დღეის მდგომარეობით სენაკის რაიონში საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა შეადგენს 2086. ასევე კორონავირუსის პანდემიის შედეგად დაზარალებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებულ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 65000-ზე და ნაკლებია 100001-ზე მიიღებენ კომპენსაციას ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად. ასეთი ოჯახების რაოდენობა ჩვენს რაიონში შეადგენს 2071. საკომპენსაციო თანხა ოჯახის თითოეულ წევრზე შეადგენს თვეში 35 ლარს და შესაბამისად მისი ჩარიცხვა მოხდება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით, კერძოდ:

- ერთწევრიან ოჯახზე თვეში კომპენსაცია იქნება 70 ლარი;
- 2 წევრიან ოჯახზე - 90 ლარი;
- 3 წევრიან ოჯახზე - 105 ლარი;
- 4 წევრიან ოჯახზე - 140 ლარი;
- 5 წევრიან ოჯახზე - 175 ლარი;
- 6 წევრიან ოჯახზე - 210 ლარი;
- 7 წევრიან ოჯახზე - 245 ლარი;
- 8 წევრიან ოჯახზე - 280 ლარი;
- 9 წევრიან ოჯახზე - 315 ლარი;
- 10 წევრიან ოჯახზე - 350 ლარი;
- 11 წევრიან ოჯახზე - 385 ლარი;
- 12 წევრიან ოჯახზე - 420 ლარი;
- 13 წევრიან ოჯახზე - 455 ლარი;
- 14 წევრიან ოჯახზე - 490 ლარი;
- 15 წევრიან ოჯახზე - 525 ლარი;

ასევე „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებულ 100001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 3 ან 3-ზე მეტი 0-დან 16 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვი და ერიცხებათ 100 ლარი და ასეთი ოჯახების რაოდენობა კი შეადგენს 1997.

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, ასევე სახელმწიფო გასაცემელზე დაემატებთ 1010-100 ლარი.

შშმ პირების, 65 00-დან 100 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით ოჯახების და 100 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით მრავალშვილიანი ოჯახების საკომპენსაციო პაკეტების მიღება შესაძლებელია ერთდროულად.

როგორც განყოფილების ხელმძღვანელი ჩემი რჩევა იქნება, რომ თუ „პანდემიის შედეგად" ოჯახმა დაკარგა შემოსავალი და დღეის მდგომარეობით ეკონომიკური სიძნელეების წინაშეა, მოგვმართონ რათა დავარეგისტრიროთ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში". მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 04 მაისის N286 დადგენილებით დამტკიცებული დახმარებების გაცემას.

მოამზადა მარიკა მიქაბერიძემ

აი, რას ამბობს დედამიწა, სიცოცხლის პლანეტა

საქართველო ეს ჩვენი უპირველესი სახლი დიდ სახლში, კავკასიაში დგას, ხოლო კავკასია კი გრანდიოზულ სახლში, რომელსაც ძირად აქვს მთელი დედამიწა, ჭერად მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

-უსმინეთ! აბა რას ამბობს დედამიწა...

,,მე ვარ დედა-მშობელი ყველასი, რაც კი თვალით ჩანს თუ არა ჩანს.

ყველას ჩემს კალთაზე უდევს თავი, ყველა ჩემით სულდგმულობს. სულ პატარა მწყერსაც კი სული აღმოხდება უჩემოდ, ამიტომ არის რომ ყველა დედას მიწოდებს.

-ადამიანებო! თუ მე დედა ვარ და თქვენ ჩემი შვილები, რატომ არ ცხოვრობთ როგორც ძმები? რად სტაცებთ ლუკმას ერთიმეორეს პირიდან. რად გაქვთ ზოგს ათასი და ზოგს ერთიც არა.

როცა დედამიწა ამას ამბობდა, შავი ნისლი ჩამოწვა და იქიდან მოისმა უსიამოვნო ხმები:

-ადამიანებო! დაუკვირდით რასაც აკეთებთ, იფიქრეთ იმაზე რასაც გეუბნებათ დედა თქვენი-დედამიწა.

-გაგვიბრაზდა დედამიწა, არაფრად რომ ვაგდებთ და ნუ გიკვირთ ღვთის რისხვა, რომ თავზე დაგვატყდეს.

-ჰოდა, ასე ნაბი-ნაბიჯ ვეღარა ვცნობთ კლიმატს, ღრუბლებიდან რომ დაუშვებს ტალახიან წვიმას.

-მთა ღუმელს ჰგავს, ისვრის ცეცხლს, ბოლს და ფერფლს, ანტარქტიდა ნელ-ნელა დნება, უდაბნოში თოვს.

-იდუმალი ვირუსები ირგვლივ ყველაფერს წამლავს, ოკეანე წყალს მოისვრის და ქალაქებს ფარავს.

-ხან გვალვაა, ხანაც თქეშიწყალდიდობად იქცევა. მიწისძვრებით ეს ზღვის დონე მალე მთასაც მისწვდება.

-გლობალური მოვლენები ავისმქმნელს არ ედარდება, ეკვატორს და მერიდიანს ფუნქციები ეკარგება.

-თავს თვითონვე დავიტეხეთ დიდი წყევლა-შეჩვენება, თუ ბუნებას არ მივხედეთ, არაფერი გვეშველება.

მოდით დღეგრძელობა და მზეგრძელობა ვუსურვოთ მუზების საუფლოს, ჩვენს ცისფერ პლანეტა-დედამიწას.

-დედამიწამ უნდა გამოკვებოს 7 ცივილიზაცია, ჩვენ მეხუთე ცივილიზაცია ვართ.

ამდენად მომავლის რწმენით სავსენი ვწერ ამ სტრიქონებს:

მსოფლიოს ღია ჭრილობიდან სწავლულთა წმინდა ხელებით ამოტვიფრული ,,წითელი წიგნი"-სიფხიზლის სამრეკლოზე ზარივით რეკს:

-დუმილი ლაჩრობაა დღეს.

-გულგრილობა ღალატია დღეს...

-განზე დგომა და გულხელდაკრეფა ხვალინდელი დღის სიკვდილია დღეს.

-ვიდგეთ ერთმანეთის მხარდამხარ. ითქვას ყველაფერი მკაცრად და ზუსტად, ჯერ არ დაუკარგავს ბუნებას ვიდრე რწმენა და იმედი კაცთა.

-და თქვენთან ერთად გულდაგულ ვითხოვ, არ უნდა დავთმოთ, რაც არ გვეთმობა.

-ბუნებასა და კაცთა შორის აღდგეს ერთობა! დღეგრძელი იყოს ჩვენი დედამიწა და მასთან ერთად ჩვენი საქართველო, ღვთითკურთხეული სამშობლო ჩვენი.

მერი გვასალია

მოსაზრება

შესწევს თუ არა უნარი განათლებას, შეცვალოს საზოგადოება? პასუხი მარტივია-დიახ! მხოლოდ ყოველივე პედაგოგიურ ხელოვნებაზეა დამოკიდებული, რამეთუ მოსმენა, ძალაუნებურად ბევრმა ჩვენგანმა ისწავლა, მაგრამ ისეთი საუბარი-მოსმენად რომ ღირდეს...

ალაბათ ბევრმა ვერა.

აღზრდის ხელოვნება ერთ-ერთი უძველესი და ურთულესია. იწყება იგი საოცრად უბრალო და უეშმაკო ამოცანისაგან: მიიღო და შეიყვარო მოსწავლე, სტუდენტი ისეთი, როგორიც ის არის! თუ კი ლექცია ურთიერთობაა და არა უბრალო შრომა, ხელოვნება და არა მხოლოდ სასწავლო ღონისძიება, ცხოვრება და არა საერთო განრიგში ჩასმული საათები.

მაშ, უფრო ხშირად ჰკითხეთ საკუთარ თავს:-რატომ შევდივარ გაკვეთილზე, ლექციაზე?

რათა ისინი ჩვენზე უკეთესები, კეთილები, მამაცები, ძლიერები, ჰუმანურები იყვნენ. რამეთუ წინსვლისას გამონახონ გამოსავალი ყველა სიძნელიდან და უკან არ დაიხიონ,რამეთუ თითოეული ქმნიდეს საკუთარ ბედს და არ შენატროდეს სხვის ლამაზად მოწყობილ ცხოვრებას.

აღმზრდელ-პედაგოგებმა ხშირად უნდა დაუსვას საკუთარ მეს კითხვები,-რა აზრები გადავეცი, რა გრძნობები გავუღვივე, იქნებ სულ არ ფიქრობდნენ იმაზე, რაზედაც ვესაუბრებოდი.

ყოველი მოსწავლე, სტუდენტი სწავლობს ორი პროგრამით ერთი საგაკვეთილო, სალექციო, მეორე საშინაო და მას კარის მეზობელი განაგებს.

ორივე პროგრამა უნდა გავითვალისწინოთ ჩვენს ყოველდღიურობაში.

გაკვეთილზე, ლექციაზე შესვლა ნიშნავს ადამიანის სულში შესვლას.

კაცობრიობის სულის მთავარი თვისება ის არის, რომ მას სწყურია ურთიერთობა, კონტაქტი მეორე ადამიანის სულთან.

აღზრდა თავის მხრივ სამ სხვადასხვამოქმედებას აერთიანებს:

მართვას, სწავლას და ურთიერთობას.

ჩვენ უნდა ვმართოთ ბავშვები, სანამ პატარები არიან. ჩვენ უნდა ვასწავლოთ მათ, მაგრამ თუ ჩვენ გამოვტოვებთ ურთიერთობას ადვილი მისახვედრია რა მოგველის.

სწავლებისათვის აუცილებელია, რომ მასწავლებელი ცოდნით აღემატებოდეს აღსაზრდელს.

მართვისთვის კი აუცილებელია ასაკი, გამოცდილება, თანამდებობა ან ძალა, ან ავტორიტეტით მოპოვებული უპირატესობა.

რაც უფრო დიდია უპირატესობა, მით უფრო ადვილია მართვა. მართვას განამტკიცებს ძალაუფლება.

ურთიერთობა კი პირიქით მოითხოვს აბსოლუტურ თანასწორობას.

ბავშვები დიდებთან ურთიერთობით ექვემდებარებიან მართვას და სწავლებას.

ცხოვრება მარტო ის როდია, რაც თავს გადაგვხვდება ხოლმე. გამოგიტყდებით, თუ ვიტყვი, რომ აზრი ყველაფერშია, სადაც კიაფობს შემოქმედებით საწყისი.

რით შეიძლება განვსაზღვროთ ცოდნის ფორმის ზომა, უთუოდ ახალგაზრდის ინიციატივით. ამ მიზნით შექმნილი მოსწავლეთა სტუდენტთა თვითმმართველობას, ინტერესთა კლუბებს, სამეცნიერო, სპორტული, მხატვრულ-თვითშემოქმედებით სექციებს უწოდებენ.

დიახ, თითოეული გაკვეთილი, ლექცია თავისებური პედაგოგიური პოემაა, რომლის გმირები იზრდებიან და ხასიათიც უყალიბდებათ.

ხელოვნება, რომელსაც საფუძველი ბავშვის სკოლაში შესვლის დღიდანვე უნდა ჩაეყაროს, ამიტომაც იტყვიან: ,, ადამიანი სკოლაში ორჯერ შედის, ერთხელ თვითონ, მეორედ შვილთან ერთადო...

ძვირფასო მოსწავლეებო, ახალგაზრდებო!

სულ ცოტა ხანიც და დარეკავს თქვენთვის ყველაზე ხანგრძლივი ზარი...მას ცხოვრების გაგრძელების ახალ ეტაპი მოსდევს!

ახალგაზრდებო!

გისურვებთ ცხოვრების ამ ეტაპის ისე გავლას, რომ გეგრძნოთ მეექვსე და მეშვიდე გრძნობა!

სიამოვნება!

მერი გვასალია,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
პრემიის ლაურეატი

ᲛᲖᲔ, ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ, ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

დაახლოებით აი როგორ ჩავწვდი პოემის თითქოსდა ცხოვრებისეული სინამდვილისა და სიმბოლურ მისტიკურ საიდუმლოებას. საერთო კაცობრიული, ზოგადი თუ უმთავრესი ადამის მოდგმისეული ცხოვრების ხასიათ-განწყობილებით ყოველმხრივი ნიუანსური ფორმა უნაკლოდ შეკრული, მთავარი და მარადიულით, გმირ პერსონჟთა იმდაგვარი ფსიქოლოგიურ-მხატვრულ პოეტური უნატიფესი ხასიათ-არსია გამოძერწილი, რომელთაც მომავლის საოცრება ცივილიზაციებიც ვერ შეცვლის, რადგან ზეციურ-მიწიერი უმთავრესი მარადიული განწყობილება გამოგნებელ სანუკველ ფრესკებად გასხივებულ-მოხატულია, შეუდარებელი ბრძნული პოეზიის ნათელი ხილვებით.

ყინწვისის ანგელოზივითი ყველგან მწვდომი მუსიკალურად ზეციდან მონარნარ-მოცურავე ჰარმონიული უხილავ უწვრილეს ნერვამდე აღმგზნებ-მგრძნობიარე ბგერათა რითმებით და შემოქმედებითი სიახლისგან გამოაგნებელი გაუმჟღავნებლის ტალღისებური ქვეენარული გადადინებით სვლაა პწკარედიდან კუპლეტებში; საოცრება სემანტიკური იდუმალ ზეციური ხაზ-თარგებით; ჩვენს წინაშე შორი-შორს ჯადოსმიერად რომ აინთება, რომელიც ანდამატურად სულთ დამატყვევებელია კეთილწამკითხავი და უნაკლოდ შემგრძნობი პიროვნებიდან, გენიით დამთავრებული.

ზეცაში გახიზნული ვარსკვლავივით მიუწვდომლობაა პოემის სიბრძნით ნაყოფასხმული ოქროსტოტებიანი ზემსწრაფი კენწეროები და ადამიანური უსხოვარდროინდელი ძირძველი მრავალგვარ ფსიქოლოგიურ თვისებათა გახსნა-მხილებაა... ასე რომ გული ნუ დაგწყდებათ, შემქმნელის იდუმალ უბეში მარგალიტების მაძიებელნო, რადგან კოსმოსური მიუდგომელი შინაარს-სივრცეებიდან იშვა თითქმის აზრობრივად მიუვალი პოეტური საოცრება.

ამდაგვარი შედევრებითაა ბედნიერი დედამიწა, ქვეყნიერების სხვა აურაცხელ ვარსკვლავ-პლანეტათა შორის...

ზოგი მეცნიერ-მიმომხილველი უფრო ხილულ მიწიერითაა შევსებული, ხოლო გამონაკლისნი კი მაღალი უხილაობის ზეციურ-ბუნებრივია. სიმართლის გონებით თუ მივუდგებით არც ერთი არაა დასაძრახი, მაგრამ ვარსკვლავეთურ, ხილულ-უხილაობის მეცნიერულ-ისტორიულ-მხატვრულ მართალ წარმოსახვით ჭეშმარიტებას კი არაფერი უდგას წინ.

ჩვენს ეპოქამდე მოაღწია მგოსნის უხილაობად ქცეულმა ხილულმა სხივობრივმა სახებამ, შოთა რუსთაველი გახლდათო უაღრესად დიადური, ამაღლებული სულიერი-განწყობილების. ამავ დროს კეთილი – იმედგამცემი მზერის, ვისგანაც უშრეტი მზე-მიწიერი სიცოცხლე ანათებდაო და ყოველთ ათობობ-აძლიერებდა. მგოსნის შორეული უძლიერესი გენეტიკური სიწმინდე ნებისმიერი დონის გარემოს აკეთილშობილებდა და პიროვნება ლოცვად იყო შობილი. ზეციური სრული შემოქმედებითი და ეროვნულ-პატრიოტული სიცოცხლის დანახშირებამდე ტანჯვის ჯვარი განუყრელად უტარებია. რუსთველი, როგორც გამორჩეული ზესეული შეწირვა წარმართობიდან მოყოლებული, ქრისტიანობის ჩათვლით, სრულიად განსხვავებული და გონებრივად მიუდგომელი გახლდათო. დედამიწაზე ჩამოსული, ყველგან მოარული უკეთილშობილესი ვარსკვლავი ბრძანებულა და ასეთად დარჩა კოსმიურ მარადიულ მეხსიერებაშიო...

ურთულესი ტვირთ-ამოცანაა ქმნილება „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-მეცნიერული განხილვა, უფაქიზესი გარჩევა და უერთგულესი პლანეტათა მიერობით კვლევა. ასევე მიგნებულად სიუჟეტთა მხატვრული დასურათება. გამოჩენილ და თამამ კომპოზიტორთა მიერ კლასიკურ მუსიკაში გაჟღერება, რათა პოემა თავად კოსმოსური სივრცის მთლიანობის პოეტური სიმფონიაა დაუსრულებელი და წარმოუდგენელი მხატვრული სურათებია დახატული სრულიად განსხვავებული გენიის ზეციურ ლანდებად ქცეული მსოფმხედველობით. ამ უიშვიათეს შემთხვევაში ვეცადე, რთულის და უმთლიანეს-უმთავრესის – უხილაობის კოსმოსური საშოთა მოძიება საიდანაც ბობოქარ ქარტეხილად იშვა რუსთაველის ზეადამიანური ნიჭიერების ქმნილება. სამართლიანად სამყაროსგან გაღმერთებული ხელოვანის გენია, რომელიც ვარსკვალვეთური სხივებით დაუშრეტელ ზეადამიანისეულ ენერგიას ფლობდა, ამიტომაც არ პატიობდნენ სიმართლეს მოციქულებრივ უდიადეს ხელოვანს.

აუცილებლად ისტორიულ-მეცნიერულად მისაკვლევია რუსთველი, სათაყვანებელი თამარ მეფის უკეთილშობილესმა და უფლისმიერმა მიმტევებელმა ბუნებამ ხომ არ გადაარჩინა უაზროდ გაღიზიანებული რელიგია-მდაბიო-შურიანთაგან განწირული მგოსანი. უთუოდ ვერ ეზიარნენ მგოსნის უხსოვარდროინდელი მზის თუ მნათობთა თაყვანისმცემლურ უკვდავების ზეციურ შეგრძნებებს, მაგრამ კოსმოსურ მოვლენათა მიუვალ კანონებს მაინც თავისი უმტკიცესი სიმართლე გაჰქონდა, წარმოიდგინეთ პლანეტის ძლიერ აღმატებული ახალგაზრდა რელიგიის გარემოშიც, რათქმა უნდა, ქრისტიანული ეკლესიის მსახურნი



ბოლომდე ვერ არჩევდნენ, რათა ხატ-ფრესკათა სიმბოლიკა დიადემები ხომ, მზეა გვირგვინოსანი, ბრმად მხოლოდ თავისას ამკვიდრებდნენ და ინკვიზიციისა საშინელი მარცვლები მცოცავი ლმობიერებით, მაგრამ მათთანაც ღვივდებოდა. რითაც შეურაცხყოფას აყენებდნენ დედამიწაზე გაუგონარი, ჰუმანურობის სიკეთის, სიყვარულის და მიტევების უფალ მახცოვარს... არა მგონია იესო ქრისტეს უზომო სიყვარული, მოწიწება და კოსმიური ხედვა არ ჰქონოდა განუსაზღვრელობის მზის მიმართ, თავადვე ვარსკვლავეთიდან ჩამობრძანებულს.

სამყაროს განგების უდიდესი შემავსებელი გამოკვეთილ-მოქმედი ფორმა, რომლის სახელი არაა შემეცნებულ-განსაზღვრული როგორც მეცნიერებაში, ფილოსოფიაში, ასევე ხელოვნებაში; შესაძლებელია ღმერთის მცნებაზე ბევრად განსხვავებული მიუვალ სხვაა? ქვეყნად არ მოიძებნება მრავალ ენათაც მისი შესატყვისი ადრე, ჩვენამდე რომ მოსულიყო, ყოველივე უთუოდ ქალდეველების, შუმერებისგან, პელაზგებისგან ატლანტიდებით ან ბაბილონელების, ებრაელების და ძველ კოლხებს, იბერიელებს მიახლოებით მაინც შესწავლილი ექნებოდათ, მაგრამ არა! იდუმალება ზეძალამ, ალბათ როდისმე მომავალში, სივრცეთა იდუმალ-საოცრებებმა უნდა გამოგზავნოს მისი შემდგარი სახელის დარქმევა და არა ზუსტი ნამდვილი კი ზეცაში იქნება შენახული მარადიულ ხელუხლებელ ფორმად ქმნილი ამითი უსასრულო გარემოში არ იკარგება და ბინდდება – ის უზომო ძლიერების თავისთავადობაშია მაგრამ წარმოიდგინეთ ზეცაში საიდუმლოდ მიუკვლეველი ხომ საიდუმლოდ ჩვენს ადამიანურ უმცირეს უჯრედშიცაა გამთლიანებული უწყვეტ ძაფად, ან უძვირფასესი კოსმოსური ძალისმიერებით შეერთებულ კავშირშია მთლიანობის კანონიერ-გამუდმებული მიდგომით; სიკვდილის მცნებისა არ იყოს, ყოველივე მაინც იდუმალია და იქნება მარადის... ოოო! რამდენი აქვთ ფიზიკოს მეცნიერებს საკვლევი!

ქვეყნიერების მზე-უფალი უთუოდ სამყაროს კოსმიური სახის მთლიანობის სრული მსგავსება ხასიათ-განწყობილებისაა. ოცნება, მომავლის მხატვარფერმწერი, რომელიც თავდადებით მიაღწევს ზეადამიანური ფორმის ვარსკვლავეთურთან მიახლოებას, ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს და რაფაელის ნიჭიერების შემოქმედი იქნება; ვასილი კანდინსკიმ, უპირველესმა აბსტრაქციონისტმა ხომ ბრძანა; პლანეტაზე ნებისმიერი სალოცავები აბსტრაქტულად ამაღლებული ფერწერით უნდა მოიხატოსო...

სინათლე მზე და სითბო ხომ ყველაფერ ზემწვდომს მოიცავს. ჩვენი მხსნელის შობიდან დროთა ჟამში ადამიანების მიერაა ვითომდა ღვთიური აზროვნება და მარადისობის რჩევა დარიგებები უაზროდ დეფორმირებული. დიდება ღმერთს, „ვეფხისტყაოსანი“ რომ შემოგვრჩა უვნებლად. როგორც ბოლნისის სიონის ტაძრის მთავარშესასვლელის თავზე გამოკვეთილი ჯვარი პატიოსანი, მზის წრიულ დიადემაში ჩასმული, რომელიც უძველესი ქრისტიანული ქართული ხუროთმოძღვრულ სივრცეში მხატვრულ იშვიათობას წარმოადგენს...

სამყაროს გალაქტიკის, ჩვენი მზის სისტემისა და პლანეტათა ფორმა – ძუძუ, თავად მზეა, ღვთისმშობლის გულ-მკერდზე ასახული.

განუხილველი იდუმალებით აღელვებულ კოსმოსურ ტალღათა მოწოლისას, როდესაც თანადგომით, სასწაულებრივად გაიხსნება ვარსკვლავეთის შემოქმედებითი საკვირველი მეცხრე ცა, მაშინვე იწყება უხილავი გენიის სხივთა ჩამოგზავნა და მტკიცე მინიშნება, ღვთისგან რჩეულ პიროვნებასთან; ანუ დედამიწის აუცილებელი მონიშვნით კონტინენტის რომელიმე ბედნიერ ხალხში. ამჟამად რატომღაც მიჭირს და საგანგებოდ თავს ვარიდებ უკვე ადრეული საუკუნეებით მოვლენილსა და უიშვიათესი გენიალური მრავალგანხრითი ხელოვანთმეცნიერთ ფილოსოფოს - ისტორიკოსთა პიროვნულ დასახელებას. სიმართლე რომ ითქვას, ყოველ მათგანში სინანულად მაინც არ გახლავთ ღმერთთან ან კოსმოსთან გათანაბრებული ნიჭი (რომელიც შეუძლებელია). მხოლოდ უფლის შემოქმედებითი თანადგომაა ურთიერთსაკვირველი. მათი ტოლფარდობა რომ იყოს; უფლის მთლიანობის ქმნილება-ნაწარმოები, ზე-სრულყოფილების გამო, შემოქმედებით ხელოვნებაში სიახლეებიის ძიება-მიღწევები და წინსვლა უსათუოდ შეწყდებოდა, რითაც მცირე რაოდენობის ერთსახოვანი და მოსაწყენი ზექმნილებანი კვლავ ვარსკვლავეთს ღვთიური პირველყოფილი ფორმით დაუბრუნდებოდა ხოლო ჩვენსმიერი ჩვეულებრივი მიწიერი მრავალფერადი გენიათა შედევრები ხომ ისეთივე რთული მიუწვდომელია უბრალო მოკვდავთათვის, მაგრამ ამ სახის თითქოსდა მიწიერ ადამიანური გენია ქმნილების სიახლეთა სწრაფვის უწყვეტი გზა, მუდამჟამს ხელოვანთათვის ღიაა, ოცნება ზეციური შემოქმედებითი მიუღწევლობა სივრცისაკენ მუდამ მზირალი, რომელიც თავადვე ღვთივ უკვდავებას წარმოადგენს ოღონდ მიწიერებაში მყოფი ნებისმიერ საცავთა სრულყოფილი კანონკუთვნილებით. პირველსა და მეორე შემთხვევაში პლანეტარიუმის და უფლის ოდნავ განსხვავებული, მაგრამ უწყვეტი კავშირ-მთლიანობაა ურღვევი.

საშინელებაა და გონებრივად მიუდგომელ-გაუმართლებელი ტრაგედიაა, აბა რაა?! სტიქიის უბედურებებს ომებს, დამპყრობლური იქნება თუ გამთავისუფლებელ, ძმათა სისხლისმღვრელი რევოლუციები, გრიგალი, ქარბუქი, ჭირი, აუტანელი ყინვა და სიცხეები, ოკეანეების ცხრაბალიანი ღელვები და მსხვერპლი; წამლეკავი წყალდიდობები... ბოლო რომ არ უჩანს კოსმიურ უმძიმეს მოვლენებს, მეტეორების ფრენა და მათგან დედამიწაზე თავდახსმები, მზის და მთავრის პერიოდული დაბნელებები, ვარსკვლავთა გაბრაზებები და ბოროტი თუ კეთილისმყოფელი სხივთ დენა; მრავალი სნეულება, ოდითგანვე მუსრს რომ გაავლებდა ხალხს – მასას; დღეს-დღეობით კი მკურნალობას რომ არ ექვემდებარება, კიბო და შიდსია, რომლებიც სპობს ადამის მიდგომას და სიკვდილია განვრცობილი. რატომ არ კონტროლდება ზეძალებისგან ეს ყველაფერი? თუ უსაშველო ქვეყნიური მოვლენებია? თუმც, ყოველივე მცირემასშტაბიანია სამყაროს სივრცესთან შედარებით, იქ ჩვენგან ძალიან შორ , ხშირ ადგილებში ფართოფორმატიანი პლანეტათა კატასტროფებია, დიდი აფეთქებები, ნგრევა, წვა, მწვავე ვარსკვლავთ გადაადგილებები და იქედან იქმნება ისევე სიახლე. ამ გაუთავებელ ციურ მოვლენათა ტყუპისცალია ადამიანის ცხოვრებაც დამ ას ვუძლებთ ანდა არა! უფრო კი!..

ნამდვილად გვეამაყება, რომ ჩვენი მზის სისტემა, მათემატიკურ-არითმეტიკული სიზუსტით და მეცნიერული ფიზიკის კანონებით სივრცეში, ყველაზე მკაცრი და დროითაც მოწესრიგებული სისტემაა ამ შიშის მომგვრელ უსასრულობაში მზე ღმერთია თავად...

ადამიანი, ბევრ რამეზე დამოკიდებული, უფრო თავისმა ჯანსაღმა გონებამ უნდა იხსნას; დაუსრულებლად გამოიგონოს, შექმნას და მეცნიერებაში ეძიოს, თუ არ უნდა გადაშენება, ღმერთი კი ადამიანის მაღალი ზნეობაა, სიყვარული და სიკეთე „ათი მცნება“ ხომ ყოველი ჩვენგანის ჯანსაღი კონსტიტუციაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, უამრავი მისაღები რჩევაა ყურანში, თორაში და ბუდას უმდიდრეს მოძღვრებაში. გონიერიდა უდრეკი კოსმოსი მათი მეშვეობით უთუოდ გადაარჩენს ადამის მოდგმას, რომელიც ქვეყნიერების უკიდურესად მკაცრი და მუდამ მოძრავი სისტემიდან იგზავნება. ესენია ყველაზე რბილი და ჰარმონიულ-ორგანული მოვლენები. როგორც მოგიყევით, სხვადასხვა ათასწლეულებში დედამიწა-პლანეტას სიახლეებად სთავაზობს. ყოველივე აქ მონაყოლი უსათუოდ კოსმოსის გონიდან და ენერგიიდან მოგვევლინება. ამდაგვარ ურთულეს გარდაუვალ მოვლენებზე ვერ დასვამ კითხვას სინაგოგებში, ბუდისტურ სალოცავებში, ვერც მეჩეთებში, ქრისტიანულ ეკლესიას ხომ ახლოსაც ვერ გაეკარები, ხოლო ქვეყნის მრავალ სექტორთან საუბარი ამ თემაზე უშედეგოა.

წარმოიდგინეთ თანამოაზრენო, კოსმოსურ ღრმა რეალურ სამყაროსა და უძლიერეს აღმსარებლობებს შუა ვართ განმარტოებულნი..

დასკვნა: უთუოდ საკვირველია, რომ რვაასორმოცდაათი წლის წინ შოთა რუსთაველი უნაკლოდ ეზიარა ყოველგვარ მიუწვდომელ კოსმოსურ-რელიგიურსა და უსასრულობის მართალ კანონებს, რითაც მზიური აზრთსივრცობრიობა დაუსრულებლად განავრცო „ვეფხისტყაოსანში“...

შემოქმედებითად ყოველგვარი დიადურის, ამაღლებულის და გენიალურის შექმნა, პიროვნებისგან ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ ზნეობრივ-თავდადებით და სულიერი სიყვარულით უკიდურეს შეწირვას მოითხოვს.ალბათ სამყაროში ამდაგვარი ფორმა-შინაარსი ურთულესთაგანია, რადგანაც კოსმოსური სტიქია უსაშველოდ ღია-ინტუიციურია, რითაც გამჟღავნებულია ვარსკვლავეთის დაუდგრომელი მრავალთვისობრივი უმკაცრესი ძრაობა. რასაც წინ არაფერი არ უდგას. მზის აფეთქებები-წვა ულევი ენერგია შემოდიოდა რუსთველში, სამყაროსეული აღდგენითობა კი, ვარსკვლავთ რაობის შემოქმედებითი სიახლე ხატად გაუმთლიანდა.

ურთულესმა თემატიკამ უკვე უმთავრესობას მიაღწია, ამიტომ იძულებული ვარ, შოთა რუსთაველისეულ ზეციურ გრძნეულ ტალღათა სივრცობრივ ქროლვა-შფოთვას თავი უნდა დავაღწიო და მძაფრი განცდებით განგშორდეთ...

მუდამჟამს აუცილებელია ვიწამოთ კოსმოსური ენერგიის და გენიათ უწყვეტი დინება...

დედამიწელებო, ნებისმიერ ათასწლეულებში „ვეფხისტყაოსანი“ ვიკითხოთ და ვისწავლოთ!

რეზო ადამია,
2019წ აგვისტო-სექტემბერი

საქართველოს ხელისუფლების ძმედით ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების მიმართულებით განხორციელებულ ანტიკრიზისულ გეგმას, რომლის გაცნობის შესაძლებლობა ეძლევათ მკითხველებს.

განათლება-ანტიკრიზისული გეგმა
ზოგადი განათლება-დისტანციური სწავლება

დისტანციური სწავლების დანერგვით მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, აკადემიური წელი არ გამოცხადდება და მოსწავლეები მომდევნო კლასებში გადავლენ

* 26 თებერვალი -ახალი კორონავირუსის პირველი დადასტურებული შემთხვევა
* 4 მარტი –სასწავლო დაწესებულებებში სწავლის პროცესის შეჩერება
* 15 მარტი - ონლაინ სწავლების დაწყება
* 1 აპრილი - „ტელესკოლის" დაწყება

საერთაშორისო აღიარება

საქართველოს მიერ განათლების მიმართულებით განხორციელებულ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს მაღალ შეფასებას აძლევენ და ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად ასახელებენ.

ზოგადი განათლება-დისტანციური სწავლება

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD) ჩარჩო დოკუმენტში, COVID-19-ით შექმნილი გამოწვევების დაძლევის კუთხით, საქართველოში განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად არის შეფასებული

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დასაძლევად მაღალი შეფასება მისცა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობამ (UNICEF)

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

მიხეილ ჩხენკელის მონაწილეობით გამართულ Microsoft-ის ორგანიზებულ ვირტუალური განათლების ტრანსფორმაციის პირველ სამიტზე, COVID-19-ის კრიზისის საპასუხოდ, სისტემის ადაპტაციის მხრივ, სამინისტროს ძალისხმევა სხვა ქვეყნებისთვის სამაგალითოდ დასახელდა.

OECD-ის განათლების დირექტორატის ხელმძღვანელმა COVID-19-ის კრიზისის

პირობებში განათლების სისტემის ადაპტაციისა და დისტანციური სწავლების წარმატებით დანერგვის თვალსაზრისით, საქართველო და ფინეთი ლიდერ ქვეყნებად

დაასახელა.

ზოგადი განათლება-პროექტი ,,ტელესკოლა"
საქართველოს პირველ არხთან ერთად დაიწყო პროექტი „ტელესკოლა"

* ტელეგაკვეთილები ყველა საგანში I-XII კლასების მოსწავლეებისთვის
* პროექტმა უზრუნველყო დისტანციური სწავლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა
* ტელეგაკვეთილებს ატარებენ გამოცდილი მასწავლებლები როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან

*სპეციალური მასწავლებლებისა და ფსიქოლოგების რეკომენდაციებით, გათვალისწინებულია სპეციალურისა-განმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესები.

*უზრუნველყოფილია თარგმნა ჟესტურ ენაზე

*სატელევიზიო გაკვეთილები ეთნიკური უმცირესობებისთვის

*აბიტურიენტის საათი - კონსულტაციები ეროვნულიგამოცდებისთვის

*პროფორიენტაციის გაკვეთილები მაისის შუა რიცხვებიდან

ზოგადი განათლება-ონლაინ სწავლება EMIS-სთან თანამშრომლობით „ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შეიქმნა

*Microsoft Office 365 -ის 600 ათასი სამომხმარებლო ანგარიშისაჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის

*Microsoft TEAMS -ის პლატფორმაზე ვირტუალური საკლასო ოთახი. ყველა საჯარო სკოლის, ყველა კლასის მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს თანაკლასელებთან ერთად ჩართული იყოს სასწავლო პროცესში.

ქართული ონლაინ პროგრამა

* ერთ-ერთი ალტერნატიული საკომუნიკაციო საშუალება
* სრულყოფილად მუშაობს ნებისმიერ სმარტფონზე.
* მისი გამოყენებისას არ არის საჭირო მაღალი სიჩქარის ინტერნეტი
* პლატფორმაზე შესაძლებელია დავალებების გაზიარება, დოკუმენტების ატვირთვა/ ჩამოტვირთვა, ჯგუფური მეცადინეობის წარმართვა.

ზოგადი განათლება - 2019-2020 სასწავლო წლის დასრულების ვადები
2019-2020 სასწავლო წელი დასრულდება

* მე-12 კლასელებისთვის - 20 მაისს
* პირველკლასელებისთვის - 27 მაისს
* დანარჩენი მოსწავლეებისთვის -15 ივნისს
* დისტანციური სწავლებისას ამ გრაფიკით იხელმძღვანელებენ სკოლები და პირველი არხის პროექტი „ტელესკოლა"
* აბიტურიენტებისთვის „ტელესკოლის" ფარგლებში 15 ივნისამდე შენარჩუნდება დისტანციური გაკვეთილები

ზოგადი განათლება - 2019-2020 სასწავლო წლის წლიური შეფასება

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დისტანციურ სწავლებას განიხილავს, როგორც სწავლების შეუფერხებლად გაგრძელების საშუალებას

*სამინისტრომ განათლების ყველა საფეხურის მოსწავლისთვის 2019-2020 სასწავლო წლის შეფასების ახალი მოდელი შეიმუშავა.

*შეფასების ახალი მოდელი გულისხმობს თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალურ

მიდგომას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს აკადემიური სტანდარტის შენარჩუნებას და დაცვას.

*ახალი მოდელის საფუძველზე მოხდება მოსწავლეების შეფასება და წლიური ქულის განსაზღვრა.

ზოგადი განათლება - 2019-2020 სასწავლო წლის წლიური შეფასება
შემუშავდა მოსწავლის შეფასების ალტერნატიული გზები

სკოლა მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით თავად განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმს:

*მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის წლიურ ქულად განისაზღვრება მოსწავლის მიერ I სემესტრში მიღებული ქულა

*მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის წლიურ ქულად განისაზღვრება მოსწავლის მიერ I სემესტრის ქულის, II სემესტრის 6 კვირის განმავლობაში გავლილი პროგრამისა და დისტანციური სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის შეფასების საფუძველზე მიღებული შემაჯამებელი ქულის საშუალო არითმეტიკული

*იქიდან გამომდინარე, რომ V კლასის მოსწავლისთვის განმსაზღვრელი შეფასება იწყება II სემესტრიდან, 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრის 6 კვირის განმავლობაში გავლილი პროგრამისა და დისტანციური სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის შეფასების საფუძველზე გამოითვლება V კლასელის წლიური ქულა

*იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს 2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრის შეფასება არ აქვს, მოსწავლის წლიური ქულა განისაზღვრება 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრის 6 კვირის განმავლობაში გავლილი პროგრამისა და დისტანციური სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის შეფასების საფუძველზე.

ზოგადი განათლება

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლისთვის განსაზღვრული წლიური ქულა არ არის

დამაკმაყოფილებელი და სურს საგნის წლიური ქულის ამაღლება:

*2020 წლის 16 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით მოსწავლე მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას ნებისმიერი ფორმით და კონკრეტულ საგანში/საგნებში აფიქსირებს

ნიშნის/ნიშნების ამაღლების სურვილს

* ნიშნის გამოსწორების შესაძლებლობა მოსწავლეს მიეცემა 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში.

ეროვნული გამოცდები

*არსებული ვითარებიდან გამომდინარე, აბიტურიენტთა ინტერესების გათვალისწინებით, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და სტუდენტთა საგრანტო გამოცდებისთვის რეგისტრაციის ვადა 30 აპრილის ჩათვლით გახანგრძლივდა.

*ამ ეტაპზე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ვადების ცვლილება არ განიხილება

*გამოცდების ჩატარების ზუსტი თარიღები არსებული პრაქტიკის მიხედვით განისაზღვრება კვლავ ივნისში.

*აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საგამოცდო პროცესის უსაფრთხოდ ჩატარების გეგმაზე და მუდმივი კონსულტაციები ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან.

*შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი იმოქმედებს ეპიდმდგომარეობისა და

უწყებათაშორისი საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად.

*საგამოცდო პროცესის ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, მათ შორის დისტანცირების, ჰიგიენური ნორმების დაცვის თუ დეზინფექციის საკითხები.

*გამოცდის მსვლელობისას, რეკომენდირებული დისტანციის დაცვით, ერთ სივრცეში განთავსდება არაუმეტეს 10 აბიტურიენტისა.

უმაღლესი განათლება – დისტანციური სწავლება

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ხელმძღვანელობით გაიმართა რექტორთა საბჭო. უნივერსიტეტების რექტორებს მიეცათ რეკომენდაცია პერსონალის დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანასა და გაზაფხულის სემესტრის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნივერსიტეტებისთვის შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის დამხმარე დოკუმენტი

*უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია, იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებით

*დისტანციური სწავლების ხელშემწყობი აპლიკაციებისა და ონლაინ პლატფორმების ჩამონათვალი გაზიარებულ იქნა უნივერსიტეტებთან. ისინი იყენებენ სხვადასხვა პლატფორმას ელექტრონულ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვისთვის, ძირითადად: Zoom, Microsoft Teams, დაწესებულებების სასწავლო პროცესის მართვისთვის კი - ელექტრონულ სისტემებს Moodle, Google Classroom.

*უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ონლაინ სწავლებასთან შესაბამისობის მიზნით, მოდიფიცირდა სასწავლო გეგმები, გადაიხედა სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები

*უნივერსიტეტებმა შეიმუშავეს შესაბამისი გზამკვლევები და ვიდეოინსტრუქციები სტუდენტებისა და ლექტორებისთვის

*ონლაინ ლექცია/სემინარების ჩანაწერები იტვირთება შესაბამის პლატფორმაზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის

*შუალედური და ფინალური შეფასებების მექანიზმი განსაზღვრულია უნივერსიტეტების მიერ სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე.

*ფინალური გამოცდები ჩატარდება შეზღუდვების შემსუბუქების VI ეტაპზე საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაბრუნების შემდეგ უნივერსიტეტების გადაწყვეტილებით და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე

*საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვა მოხდება ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით სტუდენტისა და ხელმძღვანელის შეთანხმების საფუძველზე.

უმაღლესი განათლება - ხელმისაწვდომობა და სწავლის საფასური

*უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საშეღავათო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

*უნივერსიტეტებში სწავლის გადასახადი გადავადებულია ან შეთავაზებულია გადახდის მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკი.

* სამინისტრო სრულად უზრუნველყოფს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულისემესტრისთვის განსაზღვრული გრანტების, სტიპენდიებისა და პროგრამების დაფინანსებას.

მეცნიერება

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა მონაწილეობა მიიღო UNESCO-ს მიერ ორგანიზებულ ონლაინ მინისტერიალში „COVID-19 და ღია მეცნიერება". კონფერენციის მიზანს ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების ეფექტიანგზებზე მსჯელობა და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა.

*ქართველ მეცნიერთა ჯგუფი ჩაერთო პანდემიის პრევენციის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილ საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ პროექტში „საქართველოს რეალობა: სამეცნიერო კვლევების მდგრადობა COVID-19 პანდემიის დროს"

*მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის "ჰორიზონ 2020" კონკურსში სამინისტროს მიერ წარდგენილმაპროექტმა "CAPTAIN: Science is the Captain" გაიმარჯვა და 197 500 ევროს ღირებულების გრანტი მოიპოვა

*მოხდა რიგი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების გადაწყობა და აქტიური ჩართვა COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებებისთვის საჭირო პროდუქციის წარმოებაში.

პროფესიული განათლება

*კოლეჯების ადმინისტრაციები დისტანციურად ემზადებიან საშემოდგომო მიღებისთვის, ამუშავებენ პროგრამებს და გადიან ონლაინ ავტორიზაციას ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანგებოდ შექმნილი მექანიზმის მეშვეობით

*პროფესიულ სასწავლებლებში გრძელვადიან პროგრამებზე საშემოდგომო მიღება დაიწყება 20 მაისიდან, ხოლო სწავლა დაიწყება12 ოქტომბრიდან. იგეგმება 8 700-მდე ადგილის შეთავაზება

*საგანგებო მდგომარეობის გამო შეჩერებულ პროფესიულ პროგრამებზე, სასწავლო პროცესი აღდგება შემსუბუქების გეგმისმეექვსე ეტაპიდან

*მომზადება-გადამზადების მოკლევადიან პროგრამებზე ამჟამად 137 პროგრამა და 2 500 ადგილია ავტორიზებული

*მარტი-აპრილის თვეებში განხორციელდა მომზადება-გადამზადების პროგრამების ერთი ნაწილის (IT, პროგრამირების ენები, ბუღალტერია, სასტუმროს მარკეტინგი/გაყიდვები) მორგება დისტანციური სწავლების ფორმატზე. რეგისტრაცია დაიწყება მაისიდან.

*სამინისტრომ ჩამოაყალიბა 17 დარგობრივი ქსელი, ონლაინ პლატფორმები, სადაც ერთი პროფესიის მასწავლებლები გაერთიანდნენ (მაგ. სოფლის მეურნეობის ქსელი, ტურიზმის ქსელი, სამშენებლო პროფესიათა ქსელი და ა.შ.)

*მათ მიერ მიმდინარეობს პროგრამების იმ კომპონენტების ანალიზი, რომელთა მიწოდება დისტანციურ რეჟიმშია შესაძლებელი. შერჩეული კომპონენტების პილოტირება 1 ივნისიდან დაიწყება

მიმდინარე აქტივობები

*პროექტ „ვებსკოლის" ფარგლებში, პრაქტიკოსი მასწავლებლები აბიტურიენტებისთვის ატარებენ ვებინარებს, რომლებიც პორტალ el.ge –ზე იტვირთება. ვებინარები ყველა საგანს მოიცავს

*პროგრამა Microsoft Teams -ის ქართულ ენაზე თარგმნა.

*მოსწავლის დასწრებისა და შეფასების მიზნით ელექტრონული ჟურნალის პროგრამა Teams –ში ინტეგრირება.

*სკოლებში Minecraft Education Edition -ის საპილოტე პროგრამის დანერგვა.

*კომპლექსური ციფრული დავალებების ბანკის შექმნა, რაც საჯაროდ გამოქვეყნდება პორტალზე el.ge

*მოსწავლეებისთვის გრიფირებულ ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე წვდომის უზრუნველყოფა.

*ელექტრონული მეთოდოლოგიის განვითარება და სასწავლო პროცესში ინტეგრირება

*მშობლების ხელშეწყობა მულტიდისციპლინარულიგუნდის, ფსიქოლოგებისა (48 სპეციალისტი) და სკოლის სპეციალური მასწავლებლების მიერ (1500 სპეციალური მასწავლებელი)

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499